№4 (25) აპრილი. 2002 ფასი 1 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტიელი

სპორტული ჟურნალი



3 გაჩო სვანიძე
და ისევ რუსეთი გვებრძვის!

7 გიორგი დარჯანია
სად არის ნამუსი?

8 გიორგი დარჯანია
კუპერი, რომელიც ნაკუპერალზე მეტია

9 **ყოვლისმპყრობელნი**

10 სოლომონ გულისაშვილი
სისხლიანის გაბრწყინება

11 **აგმოცნობები**

16 პაპუნა კედია
1990 1994

20 **ყველაზე...**

22 ავთანდილ გურასაშვილი
ე. ტორე ბრავუ!

25 გიგა გურასაშვილი
მეტალოდეტექტორებს მორის ჩაგარებული ოლიმპიადა

14-15 გვერდი. ტიერი ანრი. საფრანგეთი, „არსენალი" (ინგლისი) REUTERS
I საქართველო — რუმინეთი. ბრძოლა ახლოდან. ბადრი კეთილაძე
II საქართველო — რუმინეთი. აუტი. ბადრი კეთილაძე
III კანადის ჰოკეისტთა ოლიმპიური ნაკრების კაპიტანი მარკ ლემიე. გიგა გურასაშვილი
IV სამხრეთ აფრიკის კარს უტევს ალექსანდრე იაშვილი. გია ახალაძე



რედაქტორი ილია გაბუნაშვილი
რედაქტორის მოადგილე სოლომონ გულისაშვილი
ტექნიკური რედაქტორი რუსუდან დარსაველიძე
სტილისტი ცისანა ნიკოლაიშვილი
ოპერატორი მარიამ ტაბიძე

მრჩეველთა საბჭო:
ვახტანგ ბზიკაძე, მამუკა გუბელაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ემზარ ზენაიშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ზურაბ ფოცხვერია

ფოტო სარბიელის დამატება

რეკლამა ჟურნალ «სარბიელში» — 93 16 08

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ისევ რუსი გვებრძვის!

ოქტომბრის რევოლუციის 85 წლისთავზე:
5 ოქტომბერი: საქართველო — რუსეთი (რაგბი)
12 ოქტომბერი: საქართველო — რუსეთი (ფეხბურთი)

ბაჩო სვანიძე

შაბათს დიდი აჟიოტაჟი იყო მატჩის წინ. მართალია, ამ ჯერზე პოლიტიკური ამბები არაფერ შუაშია, მაგრამ კავკასიურ-კაპრატულ სარაგბო დაპირისპირებას საგანგებო დატვირთვა ჰქონდა. ეს იყო ყველაფრის ფინალი: წლევანდელი ერთა თასის, ახალდაწესებული ანთიმოზ იერიველის თასისა და მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირის იოლ ჯგუფში მოხვედრის.

სტადიონზე მიიჩქაროდა დიდი და პატარა. შინდისფერ დროშებმიმაგრებული მანქანები საყვირების გუგუნით უახლოვდებოდნენ ეროვნულს. სუხიშვილების ათი მედოლე „საჭურველითურთ" მისულიყო მატჩის ადგილას. ეროვნულზე ბრძანდებოდა ქვეყნის უპირველესი პირი ედუარდ შევარდნაძე მთელი ამალით და სტადიონის სახურავზე განლაგებული სნაიპერებით.

თუმც დაახლოებით 40000 ქომაგი მთელი თამაში ამხნევებდა ბორჯღალოსნებს. მაშინაც კი, ქართველები პირწმინდად რომ მარცხდებოდნენ მეტოქესთან. ეს პირველ ტაიმში მოხდა, როცა ბორჯღალოსნები თავისი ნახევრიდან ხელადახელ თამაშობდნენ და მწვრთნელის კლოდ სორელის დარიგება ყურად არ იღეს. და რა უთხრა სორელმა შეგირდებს? მოგება თუ გვინდა, ფეხით ვურტყათ, რითაც გვარიან მანძილს მოვიგებთო. მაგრამ ქართველები მაინც ავანტიურას განაგრძობდნენ და უშედეგო მარაოებით ფიქრობდნენ მეტოქის გატეხვას. პირიქით კი მოხდა. პრაგმატულად, ბურთის აუტში გადატანით და მერე მიწოლით რუმინელებმა მალევე იხეირეს. ლამაზად გათამაშებული კომბინაცია კაპრატელმა სუანმა დააგვირგვინა და ამას რუმინელთა კიდევ ორი ლელო მოჰყვა. ერთი ტაიმის შუაში, მეორე ბოლოში.

თუმცა, აქ რუმინელებს განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებიათ. ორივე ლელო ჩვენმა ბიჭებმა აჩუქეს მოწინააღმდეგეს, პასუხად კი მალზად ურჯუკაშვილის მხოლოდ ორი ჯარიმა გაუტანეს. აქვე ვთქვათ, რაც ზემოთ არ გვითქვამს: ერთადერთი, რაშიც ქართველები ჯობდნენ, აუტები იყო. ბორჯღალოსნებმა აქამდე უჩვეულოდ „იფრინეს" დერეფანში და რუმინელითა რამდენიმე ბურთი ჩვენსკენ გადმოაგდეს. მაგრამ რად გინდა, ქიჯურ კედელზე დაჯახებით ვერაფერს გამორჩნენ. პირწმინდად წაგებული ტაიმის შემდეგ, თავგადაკლულ

ბადრი ჯითილაძე

ბორჯღალოსანთა მორკინალი მამუკა მაგრაქველიძე სამმა რუმინელმა შუაში მოიმწყვდია

ბესიკ ხამაშურიძეს კრისტიან სუანი გადაელობა



ბადრი ჯითილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოლიათმა ტუდორ კონსტანტინმ თავისიანებიცა და ქართველებიც აქეთ-იქით მომოჰყარა

ოპტიმისტს თუ სჯეროდა, რომ ბორჯღალოსნები რაიმეს გამოასწორებდნენ.

დაიწყო მეორე ნახევარი და სორელმა მოედანზე ერთბაშად ოთხი ახალი მორაგბე შეუშვა. აქედან ერთი დებიუტანტი ბობი კვინიხიძე, ვინაც ახალი სული შთაბერა თავისიანების შეტევებს და დაიწყო...

ტაიმის დებიუტშიც ქართველებმა ნაღდი ლელო გაიტანეს, მაგრამ იტალიელმა მსაჯმა რატომღაც ვერ დაინახა ბურთს ზემოთ მოქვეული ლევან ცაბაძე და ლელო გააუქმა, მერე კი, ჩვენი აზრით, რამდენჯერმე უსამართლოდ დაგვაჯარიმა.

რუმინელები ერთხელაც გამოჩნდნენ ჩვენს ნახევარზე და მაშინაც იქაც იხეირეს. ტოფანმა ჯარიმა შეაგდო, ეს იყო და ეს. ამის შემდეგ კარპატელებმა ქულაც ვერ აიღეს. ჯიგრით, ბოლომდე მებრძოლმა ქართველებმა კი ფანტასტიური მეორე ტაიმი ითამაშეს. ვინ იცის, პირველი ლელო რომ ჩათვლილიყო, როგორ დასრულდებოდა ეს მატჩი. ისე კი ბორჯღალოსნებმა მეტოქე თავისავე ნახევარზე გამოკეტეს და ორი ლელო, ერთი საჯარიმო და ორი გარდასახვაც გაუტანეს. ამის შემყურე რუმინელთა მთავარი მწვრთნელი „პატარა ნაპოლეონი" (ბერნარ შარეირის მეტსახელია) სკამიდან წამოხტა და ყვირილი დაუწყო თავის შეგირდებს. ყვირილმა არ გაჭრა. ქართველები უტევდნენ და უტევდნენ. საფინალო სასტვენმაც შეტევაში მოიუსწრო ბორჯღალოსნებს...

ახლა უადგილოა იმაზე ლაპარაკი, რომ თითქმის ნახევარ გუნდი გვაკლდა, ვერ მოხერხდა ერთი ნორმალური შეკრების მოწყობა, მაშინ როდესაც რუმინელები მთელი სამი თვე ემზადებოდნენ საამმატჩოდ და ზედ გოლიათი ტუდორ კონსტანტინი საგანგებოდ დააბრუნეს ნაკრებში. ერთი კი ცხადია, რაც უფრო ახლოს ხარ მიზანთან, ცხოვრება მეტ და მეტ გამოცდას გიწყობს. ზოგადად ბორჯღალოსნებმა ეს გამოცდა ჩააბარეს. მათ დაგვანახეს, რომ ღირსება და ხალხის სიყვარული ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი, არ ეშინიათ და ბოლომდე ომობენ.

ამიტომ, ვიფიქროთ მომავალზე. მსოფლიო თასის შესარჩევ ტურნირში პირველი მეტოქე ირლანდიაა, ოქტომბრის ხუთში კი ისევ რუსი მოდის. აი, ომი იქ იქნება, თუ იქნება!

ირაკლი მაჩხანელმა კრისტიან სუანი ჩამოიშორა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო ალბერტ ალბერტაძე

ტუდორ კონსტანტინი რაგბის ამ მატჩისთვის დაუბრუნდა



ფოტო ალბერტ ალბერტაძე

ირაკლი მაჩხანელი ბევრს ეცადა, მაგრამ ვერას გახდა

ფოტო ალბერტ ალბერტაძე

ევროპის ერთა თასი. მეხუთე ტური.
6 აპრილი. ეროვნული 15 საათი

საქართველო 23:31 რუმინეთი

საქართველო: ხამაშურიძე, ურჯუკაშვილი, ზიბზიბაძე, ალანია, ხეხელაშვილი (მაჩხანელი), იოვაძე (კვინიხიძე), მოდებაძე (აბუსერიძე); მთიულიშვილი (რატანინიძე), გიორგაძე, ცაბაძე (კაპ.), ნადირაძე, დიდებულიძე (ურუშაძე), კაცაძე (ჩხაიძე), მაგრაქველიძე

2 ლ: ურჯუკაშვილი, ჩხეიძე; 2 გ: ურჯუკაშვილი; 3 ს: ურხუკაშვილი

რუმინეთი: ბრეზოიანუ, სუანი, მაფტეი, გონტინიაკი, ვიორიანუ, ტოფანი, მიტუ (კაპ.); ბალანი, ტინკუ (ტუდოშა), ტოდერაშკი, პეტრე, ტ. კონსტატინი, კირიაკი (ნედელკუ), პეტრაკუ (ნ. კონსტანტინი), კოროდიანუ

3 ლ: სუანი, გონტინიაკი, ბრეზოიანუ; 2 გ: ტოფანი; 3 ს: ტოფანი; 1 ა: ტოფანი;

მსაჯი: ჯოვანი მორანდინი (იტალია)

ბადრი კეთილაძე

ბადრი კეთილაძე

შოთა მოდებაძემ ბლომად პასები არიგა

ბადრი კეთილაძე

მალხაზ ურჯუკაშვილა ლელო გააქვს

ბადრი კეთილაძე

ანთიმოზ ივერიელისა და ერთა თასები ჰეტრე მიტუს ფირა — აერის პრეზიდენტმა ჟან კლოდ ბაკემ გადასცა

ბადრი კეთილაძე

გურჯეები მადრიდის უნივერსიტეტში

რაგბიში ასეა: მატჩამდე ტრადიციული ვახშამი იმართება, რომელზედაც მეტოქეთა უფროსები იკრიბებიან და შამპანურის წრუპვით იქცევენ თავს.

მადრიდშიც ასე მომხდარა, ოღონდ იქ ესპანელები მატჩზე საუბარს თურმე რატომღაც თავს არიდებდნენ, თუმცა, წარმოიდგინეთ, პოლიტიკაზე ჩამოუგდიათ სიტყვა. თვით ესპანელთა მთავარი მწვრთნელი პაბლო ტომას გარსიაც კი სარაგბო ამბებზე მეტად პანკისის ხეობაში მომხდარით(!) დაინტერესებულა და ესეც უთქვამს საქართველოზე ის ვიცი, რომ იქ ესპანელი საქმოსნები გაიტაცესო. საკვირაო მატჩზე დუმდა მთელი პირინეული მედიაც. ვინ იცის ადრევე შეგუებულნი იყვნენ მათი „ლომები“ ფფარს რომ ვერ გაშლიდნენ და ერთნაირად შეკრეს კრიჭა.

ალბათ ამის ბრალი თუ იქნებოდა, მადრიდის უნივერსიტეტის 5-ათასიანი სტადიონი მხოლოდ სანახევროდ რომ შეივსო. აქედან სამასი მოსეირე ქართველობა იყო(!). ცოდნის მისაღებად, ლუკმა პურის საშოვნელად თუ „საგულაოდ“ ესპანეთში მყოფი გურჯეები შინდისფერი დროშების ფრიალით და საყვირებით მთელი მატჩის განმავლობაში აგულიანებდნენ თვისტომებს. აქვე ისიც ვთქვათ, რომ მადრიდში გვარიანად ცხელოდა და მოსეირე-მორაგბე ერთიანად გაირუჯა.

ბორჯღალოსანთა მთავარმა მწვრთნელმა კლოდ სორელმა სადღეისო ოპტიმალური შემადგენლობა დაუპირისპირა „ლომებს“. კუნთგაწყვეტილი დავით ბოლღაშვილის შერკინების ფრთა უნივერსალ ვასილ კაცაძეს ჩააბარა, დაცვაში მისი ადგილი კი დაღვინებულ კახა ალანიას გუთავისუფლა და „ჰელემაც“ გაამრავალფეროვნა უკანა ხაზის თამაში.

მადრიდული ხვატი თავიდან ხელს უშლიდა ჩვენებს, მაგრამ მერე და მერე პაპანაქება და „ლომთა“ გააფთრება ვერაფერი წინაღობა აღმოჩნდა ქართველებისათვის. უკვე მეათე წუთისთვის კაცაძის ნაჯაჯგურები თედო ზიბზიბაძემ დაასრულა ლელოთი. მერე ბესიკ ხამაშურიძემ გაიშლიგინა ესპანელთა დაცვაში და ტაიმსაც დიდი ანგარიშით მოვიგებდით, კარლოს სოუტოს ცრუ ლელო რომ არ ჩაეთვალა იტალიელ რეფერის.

მეორე ტაიმში ბორჯღალოსნებმა „ლომები“ შეეჯამეს. მართალია, ივან კრიადომ ტაიმის დებიუტშივე უწია ქართველთა ლელოს, მაგრამ ხამაშურიძემ და გლადიატორივით მებრძოლმა კაცაძემ ორით უპასუხეს. ამ დროისთვის ჩვენები კაცნაკლულნი თამაშობდნენ, რადგან მსაჯმა რუსთაველი ბურჯი მეცლულ მთიულიშვილი 10 წუთით გაამეცა. აქედან მოყოლებული, ბორჯღალოსანთა გამარჯვება ორჯერ ორივით ცხადი იყო. ვისაც ეჭვი ეპარებოდა გია ლაბაძემ დაარწმუნა ამაში. პალიკო ჯიმშელაძემ ოვალი მეტოქის ზურგის უკან ჩაკიდა, ესპანელთა არეულ დაცვაში ლაბაძე შეიპარა და ცუნცულ-ცუნცულით წერტილი დაუსვა მასპინძელთა განადგურებას.

ევროპის ერთა თასი. მეოთხე ტური

მადრიდი. უნივერსიტეტის სტადიონი. 24 მარტი. 15 საათი.

2000 მაყურებელი

ესპანეთი 18:34 საქართველო

ესპანეთი: გუტიერესი (მასიასი), ველასკო, ენსიზო (კაპ.), სოსიასი, ვენტურა, დიესი (მარტინესი), ერნანდეს-გილი; სალასარი, დელაკალე, საპატერო, აბრილი (რიპოლი), გარსია, კრიადო, სოუტო, ტუინიუ

3 ლ: სოუტო (2), კრიადო: 1 ს: დიესი;

საქართველო: ხამაშურიძე, ურჯუკაშვილი, ზიბზიბაძე, ალანია (იოვაძე), ხეხელაშვილი, ჯიმშელაძე, მოდებაძე (აბუსერიძე); მთიულიშვილი, გიორგაძე, ცაბაძე (კაპ.), ნადირაძე, დიდებულიძე (უჩავა), კაცაძე, ლაბაძე, ზედგინიძე

5 ლ: ზიბზიბაძე, ხამაშურიძე (2), კაცაძე, ლაბაძე; 3 გ: ჯიმშელაძე; 1 ს: ჯიმშელაძე

გაფრთხილება: მთიულიშვილი

მსაჯი: სალვატორე დე ფალკო (იტალია)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად არის ნამუსი?

გიორგი დარჯანია

ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის ფრეებით დახუნძლულ მეოთხე ტურს ჟანრთა სიმრავლით გამორჩეული მეხუთე ტური მოჰყვა. სულო და გულო, რაც გინდა, ინატრე, რა იყო ისეთი, სუფრას (უკაცრავად, თამაშებს) რომ აკლდა... იყო კლასიკა, მასშტაბური და მოსაწყენი („მანჩესტერ იუნიტედი"-„ბაიერნი"), ჰოლივუდური ბლოკბასტერი („რომა"-„გალათასარაი"), ვენდეტა, ოღონდ იტალიელებმა კი არა, იტალიელებს რომ შეუსრულეს („ლევერკუზენი"-„იუვენტუსი"). მსუბუქი ჟანრის მოყვარულთათვის „სპარტას" „რეალმა" მეორე შემადგენლობა დაუპირისპირა. და სანამ „მანჩესტერი" და „ბაიერნი" ერთმანეთის კარში დარტყმას პრინციპულად ერიდებოდნენ, რომის „სტადიო ოლიმპიკოზე" რომაელები სტამბოლელებს ურტყამდნენ, სტამბოლელები — კარაბინიერებს, კარაბინიერები კი — ვისაც ხელში მოიგდებდნენ. სანამ მარჩელო ლიპის ტაქტიკური შეცდომის გამო (თავად აღიარა) ტურინელებს მოედანზე ლევერკუზენელები თერთმეტის ნაცვლად ოცდაორად ეჭვნებოდათ, ტურის გამორჩეულ მატჩში, „ჰაიბერზე", „დეპორტივომ" დასცა „არსენალი". ანუ, ამერიკის კინოაკადემიის ენით რომ ვთქვათ, მთავარი ნომინაციები „არსენალი"-„დეპორტივომ" მოიგო.

აი, ტიერი ანრის პენალტი რომ გაეტანა და მსაჯს ნვანკვო კანუს გოლი ჩაეთვალა, მერე ენახავდითო, შეიძლება თქვას ვინმემ. გაეტანა მერე, ვინ დაუშალა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ „დეპორტივო" სუპერკლუბების მიმართ აგრესიით გამორჩეა. ლაკორუნიელებმა „არსენალამდე" „მანჩესტერ იუნაიტედი", და „იუვენტუსი" დაამარცხეს, ესპანეთის თასის ფინალში კი „რეალს" სძლიეს. გინახავთ როდესმე გაცოფებული და მოჩხუბარი რაული? იმ ფინალში შეგეძლოთ გენახათ... სამაგიეროდ, იმავ „დეპორტივომ" პირველ ეტაპზე ვერაფერი დაიკლო მოკრძალებულ ფრანგულ „ლილს". მოკლედ, არსენასავითაა — მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს...

მეხუთე ტური სხვა რამეებითაც იყო გამორჩეული. კერძოდ, A ჯგუფში „მანჩესტერ"-„ბაიერნის" მეტისმეტად მეგობრული ბურთაობის პარალელურად „ნანტმა" კუდი მოიქნია, „ბოავიშტა" დასცა და მეექვსე ტურსაც აზრი დაუკარგა.

შეჯიბრებას გამოეთიშა ტურინის „იუვენტუსიც", რამაც ახალი საზრდო მისცა ევროთასზე იტალიელთა ტრადიციად ქცეული მარცხის გამო მოქილიკელთა არმიას. „იუვენტუსისავე", D ჯგუფში მეტად ჩახლართული ვითარებაც შეიქმნა: მეოთხედფინალში გასასვლელად ბოლო ტურში „არსენალს" შეიძლება წაგებაც გამოსდგომოდა, მაგრამ შეიძლება, მოგებაც ცოტა ყოფილიყო. ყველაფერი „დეპორტივო"-„ლევერკუზენის" მატჩის შედეგზე გახლდათ დამოკიდებული.

REUTERS

თურქებს რომელი კარაბინიერები ხელკეტებით გაუმასპინძლდნენ

ა, ნელ-ნელა ბოლო ტურს მივადექით.

A ჯგუფზე, ზემოთ ნახსენები მიზეზების გამო, ნუღარ შევჩერდებით. C ჯგუფშიც საქმე სანახევროდ გარკვეული გახლდათ, ანუ „რეალმა", როგორც სჩვევია, კარგა ხნით ადრე მოიპოვა მეოთხედფინალის საგზური.

ამ ჯგუფში ბოლო ტური საკუთარი თავის მოტყუებისა გამოდგა. პორტუელები იმას ჩიოდნენ, ჩვენ „სპარტას" მოვუგებთ, მაგრამ, „რეალი" თუ არ დაგვეხმარა და „პანათინაიკოსს" არ სძლია, გარჯა წყალში ჩაგვეყრებაო. მოკლედ, ნამუსზე შეაგდეს. „რეალმა" ათენში მეორე შემადგენლობით ფრედ ითამაშა, „პანათინაიკოსს" ჯგუფიდან გასასვლელი გზა გაუხსნა, მაგრამ უნამუსობისა რა მოგახსენოთ — მკერდზე მუშტების მცემი „პორტუ" თავად შერცხვა პრაღაში და ესპანელთა უნამუსობაზე ხმას როგორღა ამოიღებდა.

D ჯგუფში „არსენალსაც" პორტუული დაემართა — აქაოდა, „იუვენტუსი" მეორე შემადგენლობით დაგვიხვდება, თან პირველ წრეში პირველი შემადგენლობა დავუმარცხეთ, ახლაც ამასვე ვუზამთო; ერთი ეგაა, „დეპორტივო" არ დაუწვეს „ლევერკუზენსო".

დაუწვა კი არა, პირველი წუთებიდანვე გამოჩნდა, „დეპორტივო" „ლევერკუზენის" დამმარცხებელი რომ არ იყო. კაცმა რომ თქვას, როგორი გასამტყუნებელია — გუნდი ლიგის მეოთხედფინალში ვადამდე გავიდა და შინაური პირველობისთვის, სადაც ჩემპიონის ტიტულს ეპოტინება, ხალხი არ დაასვენოს? არ უნდა დაასვენოს! — გაისმა პასუხი და იცით, ვისგან? ლაკორუნიელი ფანებისგან — ჩვენო, „არსენალის" დახმარება-არდახმარება არ გვაინტერესებს, მაგრამ ბილეთებში ფული გადაგვიხდია და ჯიგრიანი ფეხბურთი უნდა გვაჩვენოთო.

მთელი ამ აურზაურის თავიდათავი, „არსენალი", ტურინის „დელე ალპიზე" დამარცხდა, ტიერი ანრიმ კი კვლავ გააფუჭა თერთმეტმეტრიანი.

სიკვდილისად მონათლულ B ჯგუფში კი „ლივერპულმა" ისევ მოუგო „რომას". ისევ, რადგან წინა სეზონის უეფას თასის ნახევარფინალშიც დაამარცხა და ამათ ყვე-


REUTERS

ლონდონელი ტიერი ანრისთვის მარტი უიღბლო თვე გამოდგა, მან ზედიზედ ორ შეხვედრაში ორი პენალტი ვერ გაიტანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაზე ცნობილ მატჩშიც — 1984 წლის ჩემპიონთა თასის ფინალშიც, „სტადიო ოლიმპიკოზე". პირველი გოლის გაშვების მერე ფაბიო კაპელომ უჩვეულოდ გააძლიერა შეტევის ხაზი, მაგრამ ამით ოდენ შეხვედრის გადარჩენის სურვილი წარმოაჩინა, გადარჩენა კი ვერ შეძლო.

და მაინც, „რომას" თავს საგანგაშო არაფერი მოხდებოდა, სტამბოლში ლუის ენრიკეს გოლი რომ არ გაეტანა. ცხრილს გულდასმით თუ გავჩხრეკთ, აღმოჩნდება, რომ გუნდები — „რომა", „ბარსელონა" და „ლივერპული" თანაბარ ქულებს დააგროვებდნენ, ერთმანეთთან შეხვედრებშიც ქულათა თანაბრობა ექნებოდათ, ბურთების უკეთესი შეფარდებით კი „რომა" და „ლივერპული" გადიოდნენ. მაგრამ სტამბოლში ლუის ენრიკემ გაიტანა და...

1986-97 წლების სეზონში, ჩემპიონთა თასის მერვედფინალში, ორი ფრედ დასრულებული თამაშის მერე მადრიდის „რეალმა" პენალტების სერიით (3:1) დაამარცხა „იუვენტუსი" და იტალია მეოთხედფინალს გამოსთიშა. იგივე ამბავი მხოლოდ ოთხმეტი წლის მერე, წინა სეზონში განმეორდა და ქვეყანა აალაპარაკა. ამ სეზონში კიდევ ერთხელ გამეორებამ კი შედარებით მშვიდად ჩაიარა, ალბათ, ხალხი შეეჩვია...

REUTERS

„ბაიერნისა" და „რეალის" კაპიტნები შტეფან ეფენბერგი და ფერნანდო იერო



კუპერი, რომელიც ნაკუპერალზე მეტია

UEFA CUP

უეფას თასის მეოთხედფინალში, რომელზეც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, ორმა ქართველმა — კახა კალაძემ და გიორგი გახოკიძემ — ითამაშა და ორივემ გამოსარჩევი რამ ჩაიდინა. უფრო რომ დავაზუსტოთ, კალაძეს განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია, ჩვეულებრივად ითამაშა, მაგრამ მისი „მილანი" ნახევარფინალში გავიდა და ჩვენც სათქმელი გვაქვს: კახა კალაძე პირველი ქართველია, ვინაც უეფას თასის ნახევარფინალს უწია. აქამდე ქართველთა საუკეთესო მიღწევა შოთა არველაძის აიაქსური მეოთხედფინალი იყო. სიტყვამ მოიტანა და ბარემ აქვე ვახსენოთ, რომ კალაძე ჩემპიონთა თასის ერთადერთი ქართველი ნახევარფინალისტიც გახლავთ (კიევის „დინამოში" თამაშისას). რისთვის მიუღწევიათ ქართველებს აწ განსვენებულ თასების მფლობელთა თასზე, შეხსენება ზედმეტი უნდა იყოს.

მაგრამ კახა კალაძის მიღწევა ჩვენთვის არის სასიამოვნო და ვეჭვობთ, ევროპაში ეს ამბავი ვინმეს აინტერესებდეს. სამაგიეროდ იქ აინტერესებდათ, სად გადიოდა „ჰაპოელის" შესაძლებლობათა ზღვარი. მოგეხსენებათ, მოკრძალებულმა ებრაულმა გუნდმა ვიდრე „მილანს" გადაეყრებოდა, „ჩელსი", „ლოკომოტივი" და „პარმა" დაამარცხა.

სენსაციათა მოყვარულნი ახლაც ხელებს იფშვნეტდნენ — პირველ მატჩში, თანაც სამშობლოსგან მოშორებით, ნეიტრალურ კვიპროსზე, „ჰაპოელმა" 1:0 მოიგო. ნეიტრალურ მოედანზე კი მატჩი ისრაელში გახშირებული ტერორისტული აქტების შიშით გადაიტანეს. საპასუხო მატჩში კი სენსაციათა მოყვარულებს ხელების საფშვნეტი აღარაფერი ჰქონდათ, რაკი „მილანმა" ძალდაუტანებლად, 3:0 გაიმარჯვა.

აი, ეინდჰოვენელი გიორგი გახოკიძის ამბავი მთელმა ევროპამ დაინახა და გაიგო. „ფეიენოორდთან" შინ ფრედ (1:1) დასრულებული შეხვედრის მერე როტერდამის „დე კიუპზე", სადაც უეფას თასის წლევანდელი ფინალი გაიმართება, პსვ 90-ე წუთამდე ივგბდა და საბოლოოდ გამარჯვების ყიჟინის ნაცვლად თავზარი დაეცა — ბოლო წამებზე „ფეიენოორდმა" ანგარიში გაათანაბრა და საქმე ჯერ დამატებით ნახევარ საათამდე, მერე კი პენალტების სერიამდე მივიდა. აქ მასპინძლებმა ზუსტად შეასრულეს ხუთივე დარტყმა, სტუმრებმა კი მხოლოდ ოთხი და ის ერთი გაფუჭებული პენალტი გიორგი გახოკიძისა იყო.

მაგრამ ეს დრამატული მატჩი სულაც არ მოგვეჩვენება დრამატულად იმასთან შედარებით, რაც ვალენსიაში, „მესტალიაზე" მოხდა. ოღონდ ჯერ აღვნიშნოთ, რომ ორივე შეხვედრაში, მილანშიც და ვალენსიაშიც, „ინტერის" თავკაცმა ექტორ რაულ კუპერმა უარი თქვა კრისტიან ვიერის მოედანზე შეშვებაზე, რაც ფრიად საინტერესო მიზეზით ახსნა: ვიერი სკუდეტოს მოსაგებად მჭირდებაო.

ახლა „მესტალიას" დავუბრუნდეთ, სადაც, პირველი მატჩის შედეგის გათვალისწინებით, „ვალენსიას" უგოლო ფრეც აძლევდა ხელს, მაგრამ უკვე მეორე წუთზე 0:1 აგებდა. მთელი დარჩენილი დრო მასპინძლები გამუდმებით უტევდნენ, ოღონდ ბურთი რაღაც სასწაულით არ გადიოდა ფრანჩესკო ტოლდოს კარში. და მაშინ, როცა დაძაბულობამ სრულიად ფანტასტიკური სახე მიიღო, მსაჯმა დროის გაყვანისთვის ტოლდო გააძევა — „ინტერს" სამივე შეცვლა გამოყენებული ჰქონდა და უმეკარეოდ დარჩა. ტოლდოს ხელთათმანები ყოფილმა ვალენსიელმა ფარინოსმა მოირგო. ამ დროს 88-ე წუთი მიდიოდა, მატჩი კი, მოგეხსენებათ, რეალურად 90 წუთზე მეტხანს გრძელდება. მოკლედ, 6-7 წუთი „მესტალიას" მოედანზეც და ტრიბუნებზეც სრული სიგიჟე სუფევდა. საბოლოოდ ვთქვათ, რომ ექტორ კუპერმა „ვალენსიაში" მუშაობისას ამ გუნდს ბევრი რამ ასწავლა, მაგრამ თავად კუპერი როგორ დაემარცხებინა, დაუმალა.

„დორტმუნდი"-„ლიბერეცის" წყვილში ისეთი არაფერი მომხდარა, გამოსარჩევად რომ ღირდეს.

მეოთხედფინალი

CHAMPIONS LEAGUE

პირველი მატჩები

დეპორტივო (ესპანეთი) — მანჩესტერი (ინგლისი)	0:2
ბაიერნი (გერმანია) — რეალი (ესპანეთი)	2:1
პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — ბარსელონა (ესპანეთი)	1:0
ლივერპული (ინგლისი) — ლევერკუზენი (გერმანია)	1:0

ნახევარფინალი

პირველი მატჩები

UEFA CUP

დორტმუნდი (გერმანია) — მილანი (იტალია)	4:0
ინტერი (იტალია) — ფეიენოორდი (ჰოლანდია)	0:1

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოვლისმპყრობელნი

ახლა რომ ვიკითხოთ, რომელია სამივე ევროთასის (ჩემპიონთა, უეფას და თასების მფლობელთა) მფლობელი გუნდებიო, ფეხბურთის მცოდნე წუთით ჩაფიქრდება, ან არც ჩაფიქრდება და პასუხიც მზად ექნება — „აიაქსი“, „იუვენტუსი“, „ბარსელონა“. მაგრამ პასუხი კითხვაზე, სამივე ევროთასი რომელ ფეხბურთელებს მოუგიათ, ვინძლო, ბევრად ძნელი გასაცემი იყოს. რაკი აქ არც ვიქტორინა გვაქვს და არც „ვის უნდა ოცი ათასს“ ვთამაშობთ, პასუხს ვერსიების წამოყენებამდე გთავაზობთ.



ფაბიო კუდიჩინი
იტალია

1960/61 უეფას თასი
რომა
1967/68 თასების მფლობელთა თასი
მილანი
1968/69 ჩემპიონთა თასი
მილანი

მარკო ტარდელი
იტალია

1976/77 უეფას თასი
იუვენტუსი
1983/84 თასების მფლობელთა თასი
იუვენტუსი
1984/85 ჩემპიონთა თასი
იუვენტუსი
უეფას თასის ფინალში გოლი გაიტანა

არნოლდ მიურენი
ჰოლანდია

1972/73 ჩემპიონთა თასი
აიაქსი
1980/81 უეფას თასი
იფსვიჩი
1986/87 თასების მფლობელთა თასი
აიაქსი

ჯანლუკა ვიალი
იტალია

1989/90 თასების მფლობელთა თასი
სამპდორია
1992/93 უეფას თასი იუვენტუსი
1995/96 ჩემპიონთა თასი იუვენტუსი
1997/98 თასების მფლობელთა თასი
ჩელსი
1989/90 წლების თასების მფლობელთა თასის ფინალში ორი გოლი გაიტანა

სერჯო ბრიო
იტალია

1983/84 თასების მფლობელთა თასი
იუვენტუსი
1984/85 ჩემპიონთა თასი
იუვენტუსი
1989/90 უეფას თასი
იუვენტუსი
უეფას თასის ფინალში არ უთამაშია

ანტონიო კაბრინი
იტალია

1976/77 უეფას თასი იუვენტუსი
1983/84 თასების მფლობელთა თასი
იუვენტუსი
1984/85 ჩემპიონთა თასი
იუვენტუსი
უეფას თასის ფინალში არ უთამაშია



სტეფანო ტაკონი
იტალია

1983/84 თასების მფლობელთა თასი
იუვენტუსი
1984/85 ჩემპიონთა თასი
იუვენტუსი
1989/90 უეფას თასი
იუვენტუსი

დენი გლინდი
ჰოლანდია

1986/87 თასების მფლობელთა თასი
აიაქსი
1991/92 უეფას თასი
აიაქსი
1994/95 ჩემპიონთა თასი
აიაქსი
თასების მფლობელთა თასის ფინალში არ უთამაშია

გაეტანო შირეა
იტალია

1976/77 უეფას თასი
იუვენტუსი
1983/84 თასების მფლობელთა თასი
იუვენტუსი
1984/85 ჩემპიონთა თასი
იუვენტუსი

საქართველოს ნაკრები. დგანან: ჯამარაული, კობიაშვილი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, გვარამაძე, იაშვილი. სხედან: ბურდული, საჯაია, დემეტრაძე, ქეცბაია, რეხვიაშვილი

სამხრეთ აფრიკის ნაკრები. დგანან: მანიატელა, ბუთი, ვონკი, სიბაია, ფორჩუნი, მნგუნი. სხედან: ა.მოკოენა, მოლეფე, კარნელი, ნომვეტე, ტ.მოკოენა

სიცხიანის გაბრწყინება

რა სარგებლობა მოაქვს კოჭების ჩალურჯებას?

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ
27 ᲛᲐᲠᲢᲘ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ
15 000 ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ 4:1 Ს. ᲐᲤᲠᲘᲙᲐ

1:0 კობიაშვილი (15პ), 2:0 დემეტრაძე (32), 2:1 ბაკლი (67), 3:1 ალექსიძე (84), 4:1 დემეტრაძე (86)

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ: გვარამაძე (ჭანტურია 67), კობიაშვილი, შაშიაშვილი, რეხვიაშვილი, საჯაია (აბრამიძე 78), ბურდული (ქემოკლიძე 46), ამისულაშვილი, ჯამარაული, ქეცბაია (დარასელია 46), დემეტრაძე, იაშვილი (ალექსიძე 81)

ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ: ალექსანდრე ჩივაძე

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲐᲤᲠᲘᲙᲐ: ვონკი, მოლეფე, კარნელი (ლეკხეტო 46), ბუთი (ჯორდანი 46), ა. მოკოენა, სიბაია, ტ. მოკოენა (ხაულეზა 85), ნომვეტე, ფორჩუნი (ბაკლი 46), მნგუნი (მაზიბუკო 46), მანიატელა

ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ: იომო სონო

ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲘ: მანიატელა (6), მანიატელა (27), რეხვიაშვილი (36), ა. მოკოენა (45), დემეტრაძე (88)

ᲒᲐᲫᲚᲔᲕᲔᲑᲘ: მანიატელა (27), მოლეფე (58)

ᲛᲡᲐᲯᲘ: ანდრეი შანდორი (უკრაინა)

გიორგი დემეტრაძე

ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲒᲣᲚᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ სეზონის გამარჯვებით დაწყება თავისთავად სასიამოვნოა, მითუმეტეს, გუნდთან, რომელმაც სულ მალე მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა ითამაშოს. სამხრეთაფრიკელები არც მალავდნენ, რომ ქართველებთან ამხანაგურ მატჩს მუნდიალისთვის მოსამზადებლად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

ქართველებს თავისი საქმეები ჰქონდათ, ნაკრები ხომ ნახევარ წელიწადს არ შეკრებილიყო და შეყრა-შეთამაშება აუცილებელი გახლდათ. ორივე გუნდს აკლდა ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელი: სტუმრებს — ბენი მაკარტი, შონ ბარტლეტი და სიბუსისო ზუმა; მასპინძლებს — ტრავმირებული არველაძეები, ნემსაძე, ხიზანიშვილი, გახოკიძე, ყაველაშვილი და გრიპშეყრილი ცქიტიშვილი. კახა კალაძე ცნობილი მიზეზის გამო არ ჩამოვიდა, ინგლისურმა „დერბიმ“ კი გიორგი ქინქლაძის კლუბში დატოვება ითხოვა და ჩვენებსაც ხელი აღარ შეუშლიათ.

4:1 კარგი ფსიქოლოგიური სტიმულატორია სეზონის პირველსავე მატჩში. ბიჭები დარწმუნდნენ, რომ აფრიკის საუკეთესო ნაკრებების მოდრეკაც ხელ თუ ფეხეწიფებათ. ცხადია, ორივე გუნდს თავისი ტაქტიკური ჩანაფიქრი ჰქონდა და მწვრთნელების დავალებას ბოლომდე მისდიეს. სამხრეთაფრიკელები რატომღაც ძალიან უხეშობდნენ, ჩვენებს კოჭებიც გვარიანად დაულურჯეს, მაგრამ ესეც, ალბათ, მწვრთნელ იომო სონოს მითითება იყო, — მსოფლიოს ჩემპიონატზე ხომ ბოლო დროს ბრძოლა მეტია, ვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



გურამ დოლენგავილი

ფეხბურთის ფედერაციის მშენებარე შენობის სახურავზე მოკალათებულმა გულშემატკივრებმა იპოლიტე ხვიჩიასეული „ბურთი და მოედანი“ გაგვახსენეს

დრე თამაში. აბა, როგორ ვთქვათ, უხეშ მეტოქესთან თამაში სასარგებლოაო, მაგრამ, თუ პრაქტიკული თვალსაზრისით შევხედავთ, გამოცდილების მისაღებად „შინდისფერთათვის“ ესეც გამოსადეგი უნდა იყოს. ეგ არის, ორი სტუმარი ფეხბურთელის გაძევებამ თამაში ცოტა გაფუჭა, მაგრამ დასასჯელები იყვნენ და... თემურ ქეცბაიას კი უკნიდან ისეთი ჩასცხეს, ათენში ოპერაციის გაკეთება დასჭირდა და შემოდგომამდე ველარ ითამაშებს.

მატჩის გმირი გახდა მოსკოვის „ლოკომოტივის“ შემტევი გიორგი დემეტრაძე, რომელიც მინდორზე სიცხიანი გავიდა და მაინც დაულალავად იშრომა. ორი გოლი ხომ თავად გაიტანა და ორშიც უშუალო მონაწილეობა მიიღო. დასაწყისშივე მისი წაქცევისთვის დანიშნული პენალტი კობიაშვილმა დაარტყა ზუსტად, ბოლოსკენ კი შეცვლაზე შესულ რატი ალექსიძეს ბურთი თავზე დაასვა და მესამე გოლი გაატანინა. თავად ულამაზესი მეორე ბურთი შეაგდო: ქეცბაიამ ლამის მთელი სტუმართა დაცვა მოატყუა, მაგრამ დარტყმა დააგვიანა და საჯარიმოს ხაზთან მყოფმა დემეტრაძე მოძებნა, „დემემ“ შეუჩერებლივ, ტექნიკურად გადაუგდო თავზე ბურთი ახმახ მეკარე ვონკს.

ბევრს ცდილობდა იაშვილიც, მოძრაობდა, იხსნებოდა, ურტყამდა, მაგრამ ბოლოდროინდელი ნავსი ვერ გატეხა. იაშვილს ხომ ბუნდესლიგაში 26 იანვრის მერე აღარ გაეტანა გოლი, არადა მონდომების წყალობით ყოველ მატჩში რამდენიმე ნაღდი მომენტი ყოველთვის ექმნება. ასეა თუ ისე, დემეტრაძე-იაშვილის შემტევი წყვილი ნაკრებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. აი, მეკარის პრობლემა კი კვლავაც გადაუჭრელი რჩება, რაც მომავალ შესარჩევ ციკლში „შინდისფერთათვის“ შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს.

ქართველთა მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე კმაყოფილი დარჩა იმით, რომ გუნდმა მეორე ტაიმში შედეგზე ითამაშა და დავალებას კარგად გაართვა თავი: „პირველი ნახევრის შემდეგ 2:0 ვიგებდით, საქმე სანახევროდ მომთავრებული გვქონდა და ამიტომაც იყო, პირველ 20 წუთში სიტუაციას რომ არ ვამწვავებდით. ეს არ იყო ინერტულობა, ეს გახლდათ სწორი ტაქტიკა — შედეგზე თამაში.

„შინდისფერთა“ თავკაცს ჩვენც დავეთანხმებით და ვიტყვით, რომ ყოველი პრაგმატული და გათვლილი ნაბიჯი მხოლოდ უკეთეს ნაყოფს თუ გამოიღებს.

„მოხარული ვარ, რომ მოვიგეთ. მერე რა, რომ საკონტროლო მატჩი იყო. შედეგს ასეთ დროსაც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. მიუხედავად ამისა, ეიფორიაში არ უნდა ჩავვარდეთ. საგულდაგულოდ ჩავუჯდები ამ მატჩის ვიდეოფირს და ხარვეზებს გავარჩევ“, — ამბობს ჩივაძე.

სამხრეთ აფრიკასთან მწვრთნელებმა თექვსმეტივე ფეხბურთელი გაიყვანეს მოედანზე. მათგან ორმა თბილისის დინამოელმა ალექსანდრე ამისულაშვილმა და უმცროსმა ვიტალი დარასელიამ ეროვნულ გუნდში პირველად ითამაშეს.

ისიც ვთქვათ, რომ გუნდს „ლოკომოტივის“ ახალაშენებული სტადიონი კარგად დაებედა, შემოდგომიდან მოყოლებული ამ სარბიელზე მესამედ ითამაშა და მესამედ გაიმარჯვა.

ალექსანდრე ჩივაძემ კი თავისებური რეკორდი დაამყარა. მისი ხელმძღვანელობით ნაკრებმა ზედიზედ ხუთმატჩიანი წაუგებელი სერია ჩაატარა. მართალია, 1997-98 წლების გასაყარზე ჩვენმა მთავარმა გუნდმა ზედიზედ რვა მატჩი ითამაშა დაუმარცხებლად, მაგრამ ეს სხვადასხვა მწვრთნელის ხელში მოხდა.

მოკლედ, სამხრეთ აფრიკასთან მატჩი წარმატებით გადავაგორეთ, თუმც ამან დამშვიდების საბაბი არ უნდა მოგვცეს. მთავარია შემოდგომისთვის, პრინციპული შესარჩევი მატჩებისთვის კარგად მოვემზადოთ, — მატჩებისთვის, რომლებშიც ჩვენს ნაკრებს ყოველთვის უჭირს, თორემ ამ ხუთი წლის წინ სეზონი სომხეთთან 7:0-ითაც დავიწყეთ, მაგრამ მერე რაც გამოვიდა, კარგად გვახსოვს...

გოჩა ჯამარაული და სტუმართაგან საუკეთესო ნტუჩოკო მაკბეტ სიბაია

ბადრი ჯეფილაძე

მეკარე იოჰანეს ვონკმა გიორგი შაშიაშვილს დასწრო

გია ახალაძე

ატმოცნობები

მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში სამხრეთ კორეის საჰაერო სივრცეს საფრანგეთის ჰაერსაწინააღმდეგო ძალები გააკონტროლებენ. შესაძლოა კითხვა დაგვებადოს, რატომ კორეაში და არა იაპონიაში? იმიტომ, რომ აშშ-ის ნაკრები ჯგუფური ეტაპის მატჩებს სწორედ ამ ქვეყანაში გამართავს და როგორც ვარაუდობენ, ნაირგვარი პროვოკაციები თუ ექსტრემისტული გამოხდომები ამერიკელთა მიმართ ყველაზე რეალურია. მაგალითად, ახლახან ამერიკელთა სიცილიაში სტუმრობისას მათ საწვრთნელ ბაზაზე მხოლოდ საგანგებო სამშვებიან ადამიანებს უშვებდნენ, ხოლო მანქანების დაყენება ბაზიდან 300 მეტრზე ახლოს იკრძალებოდა.

კორეის ცას ტერორისტებისგან ფრანგული „მისტრალებით" დაიცავენ. ამ საზენიტო რაკეტებს სამი კილომეტრის სიმაღლეზე ძალუძს მიზნის განადგურება. გარდა ამისა, კორეის სამხედრო-საჰაერო ძალები მატჩების დაწყებამდე ორი საათით ადრე ჰაერში გამანადგურებლებს ააფრენენ და სტადიონების ახლო-მახლო ტერიტორიებს ასე დაიცავენ. მფრინავთა ეს „მისია" თამაშის დამთავრებიდან ერთ საათში ამოიწურება.

კორეელმა სამხედროებმა უკვე ჩაატარეს წინასწარი სწავლებები. სცენარი ასეთი იყო: ტერორისტები იტაცებენ სამგზავრო თვითმფრინავს — როგორც ეს 11 სექტემბერს ნიუ იორკსა და ვაშინგტონში მოხდა — და ცდილობენ ხალხით სავსე ტრიბუნას შეაჯახონ. მათ წინააღმდეგ ბრძოლა ძნელი იქნება, მაგრამ განსწავლულ კორეელებს საკუთარი სამხედროებისა სჯერათ.

ასევე შეიქმნა საგანგებო ანტიტერორისტული ქვედანაყოფები, რომლებიც ჰაერიდან კორეის ატომურ ელექტროსადგურებს დაიცავენ. ორგანიზატორებს უფიქრიათ და გამანადგურებლების სვლა-გეზი ისე დაუგეგმავთ, რომ თვითმფრინავების გრუხუნი მაყურებლის ყურამდე ვერ მიაღწევს.

REUTERS

ამერიკელებს და მათ მწვრთნელ ბრიუს არენას საჰაერო ტერორისტების აღარ შეეშინდებათ


REUTERS

რიჩარდ დანი

27 მარტს დანიასთან ამხანაგური მატჩში 3:0 გამარჯვების მერე ირლანდიის საფეხბურთო საზოგადოება ეიფორიას შეუპყრია, თუმცა მცველი რიჩარდ დანი თანამემამულეებს მოუწოდებს საკითხს რეალურად შეხედონ და მსოფლიოს ჩემპიონატზე „მწვანეებისგან" ძალიან ბევრი არ მოითხოვონ: „გულშემატკივრები ჩვენს შანსებს ერთობ იმედიანად უყურებენ და რატომღაც მიაჩნიათ, რომ გერმანიას აუცილებლად უნდა მოვუგოთ, მაგრამ გერმანია, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისთან 1:5 წააგო, მაინც მრისხანე მოწინააღმდეგედ რჩება. მართალია, ჩვენს ჯგუფში არ არიან საფრანგეთის თუ ესპანეთის დონის გუნდები, თუმცა საკუთარ შესაძლებლობებსაც რეალურად უნდა შევხედოთ".

რიჩარდ დანი 22 წლისაა და ინგლისურ „მანჩესტერ სიტიში" თამაშობს. დიდი ხანი არ არის, რაც ეროვნული გუნდის წევრი გახდა, მაგრამ ბოლო დროს მწვრთნელი მიკ მაკარტი სულ უფრო ხშირად ენდობა და 13 მატჩში 3 გოლიც გაიტანა. დანს მიაჩნია, რომ მაკარტის დაახლოებით 35 თანაბარი კლასის მოთამაშე ჰყავს და კორეა-იაპონიაში გასამგზავრებლად ყველა რგოლში დიდი კონკურენცია იქნება.

ფიფას სამედიცინო კომიტეტის თავმჯდომარე მიშელ დოგის განცხადებით, ბოლო დროს ისეთი სამედიცინო პრეპარატები მომრავლდა, რომლებიც აკრძალულების სიაში ჯერ არ წერია, ამიტომ ფიფას დოპინგკონტროლის გამკაცრება გადაუწყვეტია. ეს კი ნიშნავს, რომ კორეა-იაპონიაში შარდის სინჯებს სისხლის ანალიზიც დაემატება, რომელსაც ყოველი მატჩის შემდეგ ორ შემთხვევით არჩეულ ფეხბურთელს აუღებენ.

სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადისა არ იყოს, მუნდიალისას საჰემოგლობინო ზღვარის დაწესებას აპირებენ, რომელიც მამაკაცებისთვის დეცილიტრზე 17,5 გრამს შეადგენს. თუ მაჩვენებელი დასაშვებზე მეტი გამოდგა, გამოდის სპორტსმენს ისეთი სუბსტანცია მიუღია, სისხლში ერითროციტების მომატებას რომ უწყობს ხელს. ლეიესთვის ძირითად ასეთ პრეპარატებად ერითროპოეტინი და დარბოპოეტინი მიიჩნევა, რომლებიც ერითროციტების გაზრდის ხარჯზე კუნთებს ჟანგბადით უფრო სწრაფად ამარაგებს და ადამიანს გამძლეობას მატებს. სწორედ ასეთი პრეპარატების გამო ჩამოართვეს ოლიმპიური მედლები რუს ლარისა ლაზუტინას და ოლგა დანილოვას.

ინგლისის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის" ლეგენდამ, 64 წლის ბობი ჩარლტონმა ბი-ბი-სი-სთან ინტერვიუში დიდად შეაქო ინგლისელთა მწვრთნელი სვენ გორან ერიკსონი და დასძინა, რომ მის თანამემამულე ფეხბურთელებს შანსი აქვთ, 36 წლის წინანდელი მიღწევა გაიმეორონ და ფიფას მსოფლიო თასი ლონდონში ჩაიტანონ: „ვფიქრობ, ჩემპიონობა შეგვიძლია, თუმცა ძალიან რთული საქმე კი იქნება. მიმაჩნია, რომ საფრანგეთის გარდა ყველა ნაკრები ერთმანეთს ჰგავს. არგენტინის, შვედეთის, ესპანეთის, გერმანიისა და იტალიის არ მეშინია, აი, ფრანგებთან შებმის პერსპექტივა კი მაღელვებს. სხვა მხრივ, ჩვენი ფეხბურთელები სერიოზული ბრძოლისთვის განწყობილან და თუმცა მთავარ ფავორიტებად არ მიგვიჩნევენ, თუ ბექემი, ოუენი და სქოულზი ფორმაში იქნენ, ჩემპიონობაზე ფიქრიც შეგვეძლება. ერიკსონმა კი მართლაც ძალიან ბევრი გააკეთა ნაკრებისთვის, ახლა უფრო გუნდურ, დახვეწილ ფეხბურთს ვთამაშობთ და ოპტიმიზმის საბაბსაც ეს მაძლევს".


REUTERS

სერ ბობი ჩარლტონი (მარჯვნივ) სხვათაგან მიშელ ჰლატინის საშშობლოს ნაკრებს გამოარჩევს

ატმოცნობები


REUTERS

ლუიშ ფელიპე სკოლარი გამკცრდა

ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელ ლუიშ ფელიპე სკოლარის თქმით, ჩემპიონატის დღეებში ტეტრაკამპეონთა ბანაკში დისციპლინა ერთიორად გამკაცრდება. კერძოდ, ფეხბურთელებს აეკრძალებათ მობილური ტელეფონებით ლაპარაკი და სასტუმროში უცხო პირთა მიყვანა. სკოლარის მტკიცებით, სწორედ მობილური ტელეფონის გამო მოიძულა 36 წლის რომარიო: „ეჭვი არავის ეპარება, რომ რომარიო უმაღლესი კლასის მოთამაშეა, მაგრამ ჩემთვის მნიშვნელოვანია არა მარტო თამაშის ხარისხი, არამედ ქცევაც. საერთაშორისო ტურნირების დროს რომარიო საათობით ლაყბობს მობილურზე და მერე სასტუმროში ქალები ქალებზე ამოჰყავს. მესმის, რომ ეს პირადი საქმეა, მაგრამ გუნდს რომ ხეირს არ აყრის, ესეც ფაქტია“.

რამდენიმე დღეში სკოლარის ამ განცხადებას ტეტრაკამპეონელთა ყოფილი მცველი ბრანკო ბრაზილიის ტელევიზიით გამოეხმაურა: მე თუ მკითხავთ, მოლაყბე-ბომბარდირი მირჩევნია მდუმარე-საშუალოსო.

მოკლედ, ოთხი წლის წინანდელი ისტორიისა არ იყოს, რომარიო კვლავაც მსოფლიოს ჩემპიონატს მიღმა რჩება, თავდასხმაში კი სკოლარის რონალდო-რონალდინიოს წყვილის იმედი აქვს. მწვრთნელს მათი ურთიერთშეთანხმება იუგოსლავიასთან ამასწინანდელი ამხანაგური მატჩისას მოსწონებია. შეგახსენებთ, რომ 27 მარტს რონალდომ ნაკრებში ბოლო ორ წელიწადში პირველად ითამაშა. რონალდოზე არაფერს ვამბობ, რონალდინიოს კი თავდასხმაშიც კარგად გამოსდის საქმე და პლეიმეიკერობაც ძალუძსო — ასკვნის სკოლარი.

ვიდვას გენერალურმა მდივანმა მიშელ ზენ რუფინენმა იტალიურ რადიოსთან ინტერვიუში განაცხადა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური მატჩის მსაჯობა, შესაძლოა, პიერლუიჯი კოლინას მიანდონ. ზენ რუფინენი კოლინას პლანეტის საუკეთესო არბიტრად მიიჩნევს და დასძენს, რომ ხოტორა იტალიელს მხოლოდ თავისი გარეგნობის გამო არ მიუპყრია საყოველთაო ყურადღება.

კოლინას ევრო 2000-ის გადამწყვეტი შეხვედრაც უნდა ემსაჯა, მაგრამ იტალიის ნაკრების ფინალში გასვლამ ვითარება შეცვალა. ცხადია, ახლაც კოლინა მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს ოქროს სასტვენს, თუ „სკუადრა აძურა“ მანამდე გამოეთიშება ჩემპიონატს.

სხვათა შორის, ახლახან მუნდიალზე გასამგზავრებელ არბიტრებს ფიზმომზადების ტესტი ჩაუტარეს და კოლინა ერთადერთი აღმოჩნდა, ვინც ნორმატივი ვერ ჩააბარა. თუმცა ორგანიზატორებმა გაითვალისწინეს, რომ სწორედ ტესტის წინა დღეს კოლინა შეუძლოდ გახდა და მისი ავტორიტეტის გათვალისწინებით უახლოეს ხანში კიდევ ერთხელ გამოცდიან.


REUTERS

პიერლუიჯი კოლინამ, შესაძლოა, ფინალი იმსაჯოს

REUTERS

ზინედინ ზიდანი: ზაფხულში...

ფრანგია ყოფილი კაპიტანი დიდიე დეშანი დარწმუნებულია, რომ კორეა-იაპონიაში „სამფეროვნები“ ჩემპიონის ტიტულს შეინარჩუნებენ: „თვითრწმენისა და გასაოცარი გუნდური სულის წყალობით ფრანგები ყველა სხვა მეტოქეს სჯობიან. ან ვის ჰყავს ფრანგების დარი შეტევის ხაზი? ტიერი ანრიმ და დავიდ ტრეზეგემ ხომ საფეხბურთო მოწიფულობის ასაკს ახლაღა მიაღწიეს. ყველაზე რთული კი პირველი მატჩი იქნება სენეგალთან. თუ გავიმარჯვეთ, ეს მომავალი წარმატებების ჩინებული საწინდარი იქნება“.

დეშანის აზრს ფრანგი მოსახლეობის დიდი ნაწილიც იზიარებს, ახლახან ჩატარებულმა ინტერაქტიულმა გამოკითხვამ დაადასტურა, რომ ფრანგები თავისიანთაგან მხოლოდ პირველობას ელიან.

„სამფეროვანთა“ ლიდერმა ზინედინ ზიდანმა კი თქვა, რომ მუნდიალისას საუკეთესო ფორმაში იქნება: „ბოლო დროს ცოტა მოვუკელი, მაგრამ კორეა-იაპონიაში ძველებური შემართებით ვითამაშებ. ჩვეულებრივ პრობლემები სეზონის დასაწყისში და შუაში მაწუხებს ხოლმე, ამიტომ წლევანდელი ჩრდილში მოქცევა გასაკვირი სულაც არ არის. პირიქით, ეს კარგი ნიშანია იმისა, რომ ზაფხულში ყველაფერი ჩინებულად იქნება“.

Dreamcast
14

ეროვნული ბიბლიოთეკა

1990

ფინალს ლუჩანო პავაროტი ესწრებოდა

პაპუნა კედია

იტალიაში ერთ-ერთი ყველაზე უსახური ჩემპიონატი გაიმართა. მონაწილენი დაცვით ფეხბურთს მისდევდნენ, ფინალი ფინალთა შორის უსუსტესი გამოდგა და მისი ბედი პენალტმა გადაწყვიტა. დამარცხებული ფინალისტი გამოდგა პირველი, ვინც გოლის გატანა ვერ შეძლო, ხოლო მოედნიდან ორი ფეხბურთელი გაუძევეს.

ერთობ სუსტი გუნდი ჰყავდათ მასპინძლებს, იტალიელებსაც, რომლებიც ნახევარფინალში არგენტინასთან პენალტებით დამარცხდნენ. აღსანიშნავია, რომ პენალტებითვე გაირკვა მეორე ფინალისტის ვინაობაც: გერმანიამ ინგლისს აჯობა. სამაგიეროდ ამ პირველობას ჰქონდა ჩინებული ჰიმნი, რომელსაც ჯანა ნანინი ასრულებდა.

ტურნირის სამასპინძლოდ იტალიელები საგანგებოდ მოემზადნენ. ქვეყანაში აიგო ახალი სტადიონები. სამაგალითოდ ტურინის „სტადიო დელე ალპიც“ გამოდგება, რომელმაც ძველი „სტადიო კომუნალე“ შეცვალა, ხოლო ნეაპოლის „სან პაოლოზე“ 90 მილიონი ლირა დაიხარჯა.

იტალიაში მოსახვედრად 112 გუნდმა სცადა ბედი. შედარებისთვის: ოთხი წლით ადრე მექსიკაში წასვლას 121 გუნდი ლამობდა, ანუ შესარჩევ შეჯიბრებაში ნაკლები გუნდი მონაწილეობდა. მაგრამ, როგორც გაირკვა, მიზნის მიღწევა უფრო რთული საქმე გამოდგა. ამის თქმის უფლებას ის გვაძლევს, რომ იტალიის მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ მოხვდნენ დანია, პორტუგალია და წინა ორი პირველობის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი — საფრანგეთის ნაკრები.

საკუთრივ ჩემპიონატის პირველ ეტაპზე, თუ კოსტარიკელთა 16 საუკეთესოში გასვლას არ ჩავთვლით, მოულოდნელი არაფერი მომხდარა. ყურადღება სამმა ფეხბურთელმა მიიპყრო: კამერუნელმა როჟე მილამ, იტალიელმა სალვატორე სკილაჩიმ და არგენტინელმა სერხიო გოიკოჩეამ — მეკარემ. ცხადია, აქ აღარაფერს ვამბობთ დიეგო მარადონაზე, რომელიც ერთობ საშუალო ნიჭის თანაგუნდელთა ფონზე ათმაგი სიკაშკაშის ვარსკვლავად ჩანდა და ის, რომ არგენტინის ნაკრები ფინალში გავიდა, მნიშვნელოვანწილად მის პირად წარმატებად ჩაითვალა.

ცალკე უნდა ვთქვათ კამერუნელ მილაზე: მას თამაშისთვის თავი დანებებული ჰქონდა, მაგრამ მოედანს დაუბრუნდა. 14 ივნისს ბარის „სან ნიკოლას“ სტადიონზე ის გახდა უხუცესი (38 წლის და 20 დღის) ფეხბურთელი, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატზე გოლი გაიტანა. ეს გოლი მილამ რუმინელების კარში შეაგდო, თუმცა „ბებერი ლომი“ ამას არ დასჯერდა და 23 ივნისს, 38 წლისამ და 29 დღისამ, მერვედფინალში ნეაპოლის „სან პაოლოზე“ კოლუმბიელებსაც შეუგდო კარში ბურთი.



სასოწარკვეთილი დიეგო მარადონა

1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი გერმანიის ნაკრები. დგანან: მწვრთნელი ოსიეკი, მთავარი მწვრთნელი ბეკენბაუერი, აუგენტალერი, რიიტერი, კლინსმანი, მილი, ბუხვალდი, შტაინერი, ბერთოლდი, კიოპკე, კოლერი, მიოლერი, პფლუგლერი, მწვრთნელი ფოგთსი. სხედან: ლიტბარსკი, თონი, მეკარეთა მწვრთნელი მაიერი, ბრემე, მათეუსი, რიდლე, ილგნერი, ბაინი, ჰერმანი, ფიოლერი, ჰესლერი, აუმანი.

კამერუნელები მეოთხედფინალში ინგლისელებმა შეაჩერეს, თამაში 3:2 დასრულდა, მაგრამ ამ ორიდან მილას გოლი ერთი(ა)ი ყოფილა. თუმცა მილაზე ნუ იდარდებთ. მას ოთხი წლის შემდეგ კიდევ...

ოთხი წლის შემდგომ ამბავზე შემდეგ ვთქვათ, ახლა კი სალვატორე, იგივე ტოტი სკილაჩი გავიხსენოთ. იგი გახლდათ იტალიის ნაკრებისა და მსოფლიოს ჩემპიონატის ბომბარდირი, რომელიც, უკაცრავად და, საიდან მოვიდა ან მერე სად გაქრა, უცნობია.

საიდან მოვიდა და სად გაქრაო... ასე ითქმება, თორემ მაშინ 25 წლის ფორვარდი, რომელსაც, სხვათა შორის, საბოლოო დარტყმის სიზუსტეს ყოველთვის უწუნებდნენ, „იუვენტუსიდან“ მოვიდა და დღესაც იქნება დედამიწაზე სადღაც. ეგაა, მის საფეხბურთო კარიერაში გაბრწყინების ერთი პერიოდი იყო და ის 1990 წლის მსოფლიოს პირველობას დაემთხვა.

სალვატორე სკილაჩი — ვარსკვლავი, რომელსაც ჩემპიონატამდე და მერე არ უბრწყინია



კამერუნელი ლეგენდა როჟე მილა და კოლუმბიელთა წაქცეული მეკარე რენე ოგიტა

თავში ჩამოთვლილ მოთამაშეებთაგან არგენტინელ მეკარეზე, სერხიო გოიკოეჩეაზე ჯერ არაფერი გვითქვამს მხოლოდ. საქმე ის არის, რომ გოიკოეჩეა წესითა და რიგით სათადარიგო გოლკიპერი უნდა ყოფილიყო, რადგან არგენტინის ნაკრებში პირველ ნომრად ნერი პუმპიდო იგულისხმებოდა, მაგრამ საბრალო მძიმედ დაშავდა. პუმპიდუს ადგილი გოიკოეჩეას ერგო და, მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ მეკარემ თავისი ნაკრების ფინალში გაყვანას დიდად შეუწყო ხელი. საკმარისია მისი მოგერიებული პენალტები ან, თუ გნებავთ, ბრაზილიასთან შეხვედრის ბოლო წუთები გავიხსენოთ.

თუმცა, როდესაც ფინალში მექსიკელმა მსაჯმა კოდესალ მენდესმა გერმანელთა სასარგებლოდ თერთმეტმეტრიანი დარტყმა დანიშნა, გოიკოეჩეამ ანდრეას ბრემეს წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო.

ამრიგად, მსოფლიოს თასი გერმანელებმა აღმართეს, ხოლო მათი თავკაცი ფრანც ბეკენბაუერი ის საფეხბურთო მოღვაწე გახდა, რომელმაც ეს ჯილდო ორჯერ მოიგო: როგორც ფეხბურთელმა და როგორც მწვრთნელმა.

A ჯგუფი

09.06. იტალია — ავსტრია	1:0 (0:0)
10.06. ჩეხოსლოვაკია — აშშ	5:1 (2:0)
14.06. იტალია — აშშ	1:0 (1:0)
15.06. ჩეხოსლოვაკია — ავსტრია	1:0 (1:0)
19.06. ავსტრია — აშშ	2:1 (0:0)
19.06. იტალია — ჩეხოსლოვაკია	2:0 (1:0)

იტალია	3	3	0	0	4:0	6
ჩეხოსლოვაკია	3	2	0	1	6:3	4
ავსტრია	3	1	0	2	2:3	2
აშშ	3	0	0	3	2:8	0

B ჯგუფი

08.06. კამერუნი — არგენტინა	1:0 (0:0)
09.06. რუმინეთი — სსრკ	2:0 (1:0)
13.06. არგენტინა — სსრკ	2:0 (1:0)
14.06. კამერუნი — რუმინეთი	2:1 (0:0)
18.06. არგენტინა — რუმინეთი	1:1 (0:0)
18.06. სსრკ — კამერუნი	4:0 (2:0)

კამერუნი	3	2	0	1	3:5	4
რუმინეთი	3	1	1	1	4:3	3
არგენტინა	3	1	1	1	3:2	3
სსრკ	3	1	0	2	4:4	2

C ჯგუფი

10.06. ბრაზილია — შვედეთი	2:1 (1:0)
11.06. კოსტა რიკა — შოტლანდია	1:0 (0:0)
16.06. შოტლანდია — შვედეთი	2:1 (1:0)
16.06. ბრაზილია — კოსტა რიკა	1:0 (1:0)
20.06. კოსტა რიკა — შვედეთი	2:1 (0:1)
20.06. ბრაზილია — შოტლანდია	1:0 (0:0)

ბრაზილია	3	3	0	0	4:1	6
კოსტა რიკა	3	2	0	1	3:2	4
შოტლანდია	3	1	0	2	2:3	2
შვედეთი	3	0	0	3	3:6	0

D ჯგუფი

09.06. კოლუმბია — საამიროები	2:0 (0:0)
10.06. გფრ — იუგოსლავია	4:1 (2:0)
14.06. იუგოსლავია — კოლუმბია	1:0 (0:0)
15.06. გფრ — საამიროები	5:1 (2:0)
19.06. იუგოსლავია — საამიროები	4:1 (2:1)
19.06. გფრ — კოლუმბია	1:1 (0:0)

გფრ	3	2	1	0	10:3	5
იუგოსლავია	3	2	0	1	6:5	4
კოლუმბია	3	1	1	1	3:2	3
საამიროები	3	0	0	3	2:11	0

E ჯგუფი

12.06. ბელგია — სამხ. კორეა	2:0 (0:0)
13.06. ურუგვაი — ესპანეთი	0:0
17.06. ესპანეთი — სამხ. კორეა	3:1 (1:1)
17.06. ბელგია — ურუგვაი	3:1 (2:0)
21.06. ურუგვაი — სამხ. კორეა	1:0 (0:0)
21.06. ესპანეთი — ბელგია	2:1 (2:1)

ესპანეთი	3	2	1	0	5:2	5
ბელგია	3	2	0	1	6:3	4
ურუგვაი	3	1	1	1	2:3	3
სამხ. კორეა	3	0	0	3	1:6	0

F ჯგუფი

11.06. ინგლისი — ირლანდია	1:1 (1:0)
12.06. ჰოლანდია — ეგვიპტე	1:1 (0:0)
16.06. ინგლისი — ჰოლანდია	0:0
17.06. ირლანდია — ეგვიპტე	0:0
21.06. ინგლისი — ეგვიპტე	1:0 (0:0)
21.06. ირლანდია — ჰოლანდია	1:1 (0:1)

ინგლისი	3	1	2	0	2:1	4
ირლანდია	3	0	3	0	2:2	3
ჰოლანდია	3	0	3	0	2:2	3
ეგვიპტე	3	0	2	1	1:2	2

მერვედფინალი

23.06. ჩეხოსლოვაკია — კოსტა რიკა	4:1 (1:0)
23.06. კამერუნი — კოლუმბია	2:1 დ.დ. (0:0) (0:0)
24.06. არგენტინა — ბრაზილია	1:0 (0:0)
24.06. გფრ — ჰოლანდია	2:1 (0:0)
25.06. ირლანდია — რუმინეთი	0:0 (პენ.5:4)
25.06. იტალია — ურუგვაი	2:0 (0:0)
26.06. იუგოსლავია — ესპანეთი	2:1 დ.დ. (1:1) (0:0)
26.06. ინგლისი — ბელგია	1:0 დ.დ. (0:0)

მეოთხედფინალი

30.06. არგენტინა — იუგოსლავია	0:0 (პენ.3:2)
30.06. იტალია — ირლანდია	1:0 (1:0)
01.07. გფრ — ჩეხოსლოვაკია	1:0 (1:0)
01.07. ინგლისი — კამერუნი	3:2 დ.დ. (2:2) (1:0)

ნახევარფინალი

03.07. არგენტინა — იტალია	1:1 დ.დ. (პენ.4:3, 1:1) (0:1)
04.07. გფრ — ინგლისი	1:1 დ.დ. (პენ.4:3, 1:1) (0:0)

მატჩი მესამე ადგილისთვის

07.07. იტალია — ინგლისი	2:1 (0:0)

ფინალი. 08.07.

გფრ 1:0 არგენტინა

1:0 ბრემე (84Წ)

გფრ: ილგნერი, ბრემე, კოლერი, აუგენტალერი, ბუხვალდი, ბერთოლდი (როიტერი 73), ლიტბარსკი, ჰესლერი, მათეუსი, ფიოლერი, კლინსმანი

მწვრთნელი: ფრანც ბეკენბაუერი

არგენტინა: გოიკოეჩეა, ლორენსო, სერისუელა, სენსინი, რუჯერი (მონზონი 46), სიმონი, დეზოტი, ბასუალდო, ბურუჩაგა (კალდერონი 53), მარადონა, ტროგლიო

მწვრთნელი: კარლოს ბილარდო

მსაჯი: ედუარდო კოდესალ მენდესი (მექსიკა)

73 603 მაყურებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1994



ამერიკა იმხელა ქვეყანაა, რომ სტადიონებზე მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩები იმართებოდა, სტადიონებს გარეთ კი ხალხი თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა და საფეხბურთო ვნებათაღელვისადმი არულიად გულგრილი გახლდათ. ასეთი რამ ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში წარმოუდგენელი იქნებოდა: ან ის, რაც სტადიონებზე ხდებოდა, ქუჩებსაც გადაედებოდა, ან ტრიბუნები დარჩებოდა ცარიელი, შეერთებულ შტატებში კი პირთამდე სავსე ტრიბუნებიც იყო და გულგრილი მოსახლეობაც.

...მრავლად იყო გოლებიც. იყო ემოცია, დრამა, ოსტატობა, მაგრამ იყო უგოლო ფინალიცა და მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში პირველად პენალტების სერიით გამოვლენილი გამარჯვებულიც — ბრაზილია!

კიდევ, 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატმა ყურადღება მიიპყრო დიეგო მარადონას სენსაციური ამბით — დიდი დიეგო მსოფლიოს კვლავ სრული ბრწყინვალებით წარუდგა, უწინდელზე დაბრძენებული და რაციონალური, მაგრამ უწინდელივით ცეცხლოვანი, და ნიგერიასთან თამაშის შემდეგ მეხივით გავარდა: მარადონა დოპინგის, კერძოდ ეფედრინის მიღებაში ამხილესო. გენიოსს ფეხბურთის თამაში აუკრძალეს.

ამ თემაზე სიტყვას ნულარ გავაგრძელებთ, თორემ სხვა წერილი გამოგვივა. აქ მხოლოდ ფაქტით შემოვიფარგლოთ, ოღონდ აუცილებლად ვთქვათ, რომ მარადონას ეს ამბავი დღემდე ფიფას მაშინდელი პრეზიდენტის, მსოფლიო ფეხბურთის რეფორმატორის, ბრაზილიელი ჟოაო აველანჟის მოწყობილი ჰგონია.

სხვა რა შეიძლება გავიხსენოთ იმ პირველობიდან? რა თქმა უნდა, ანდრეს ესკობარის ტრაგედია. ამ კოლუმბიელმა ფეხბურთელმა აშშ-ის ნაკრებთან შეხვედრაში საკუთარ კარში გაიტანა გოლი, რის გამოც მისი ნაკრები შეჯიბრებას გამოეთიშა და შინ დაბრუნებულს ვიღაც გიჟმა ტყვია დაახალა. შემდეგ ამბობდნენ, რომ მკვლელობა საბუქმეიქერო საქმეებში ჩარეული კოლუმბიური მაფიის შეკვეთილი იყო. გამოხდა ხანი და მიზეზად ჩვეულებრივი ქუჩური ჩხუბიც დაასახელეს.

აღსანიშნავია, რომ ჩემპიონატის მასპინძლად თავიდან მაროკოს ვარაუდობდნენ, მაგრამ საორგანიზაციო საქმეებში აფრიკელთა გამოუცდელობამ შეჯიბრება ამერიკას გადაულოცა.

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრას სარეკორდო რაოდენობა — 147 ნაკრები ცდილობდა. მათ შორის გა-

ბრაზილიელი მეკარე ტაფარელი იტალიელ მასაროს პენალტს უღებს

მსოფლიოს უდიდესი იმედგაცრუება — რობერტო ბაჯო პენალტს აცილებს



აშშ 94 — დიეგო მარადონას ბოლო გაბრწყინება

რობერტო ბაჯო და ანდონი სუბისარეტა

საიდ ალ ოვაირანი — ლეგენდარული გოლის ავტორი

მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონი, ბრაზილიის ნაკრები. დგანან: ტაფარელი, ჟორჟინიო, ალდაირი, მაურო სილვა, მარსიუ სანტუში, ბრანკო. სხედან: მაზინიო, რომარიო, დუნგა, ბებეტო, ზინიო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხლდათ აპარტეიდის რეჟიმს თავდაღწეული სამხრეთი აფრიკა, რომელსაც სანქციები მოუხსნეს და მსოფლიო პროცესებში დააბრუნეს. და შესარჩევი ეტაპი ვერ გადალახეს ინგლისმა, დანიამ, პორტუგალიამ, პოლონეთმა, კვლავ და კვლავ საფრანგეთმა, ხოლო იუგოსლავია ბოსნიას ეომებოდა და, ცხადია, სანქცია დაადეს. საბოლოოდ 24 გუნდი შეიყარა.

აშშ-ის სტადიონებზე მატჩებს 3587538 მაყურებელი დაესწრო, რაც სარეკორდო რაოდენობა იყო, ხოლო თითოეულ გამარჯვებას 2-ის ნაცვლად ახლა 3-ქულიანი ფასი დაედო. რუსმა ოლეგ სალენკომ კამერუნთან შეხვედრაში ხუთი გოლი იზეიმა, ხოლო საუდელმა ოვაირანმა დიეგო მარადონას მიერ 1986 წელს ინგლისელთა კარში შეგდებული მეორე ბურთის ბადალი გოლი გაიტანა. და როჟე მილა... 42 წლის, ერთი თვისა და რვა დღის ფეხბურთელმა

დიდი ბელგიელი მეკარე მიშელ პრიუდომი

ასრულებული ოცნება — რომარიო ფიფას თასით ხელში

საკუთარი შედეგი გააუმჯობესა. საეჭვოა, ასეთი ხანდაზმული ფორვარდი უახლოეს ხანს კიდევ ვიხილოთ მსოფლიოს პირველობაზე, მით უფრო გოლის მოზეიმე.

მეოთხედფინალში შვიდმა ევროპულმა გუნდმა და ერთმა ბრაზილიამ მოიყარეს თავი. სამხრეთამერიკელებმა ერთიმეორის მიყოლებით აჯობეს ჰოლანდიას, შვედეთსა და იტალიას. და ბრაზილიის ნაკრები ტეტრა-კამპეონი გახდა.

A ჯგუფი

18.06. აშშ — შვეიცარია	1:1 (1:1)
18.06. რუმინეთი — კოლუმბია	3:1 (2:1)
22.06. შვეიცარია — რუმინეთი	4:1 (1:1)
22.06. აშშ — კოლუმბია	2:1 (1:0)
26.06. რუმინეთი — აშშ	1:0 (1:0)
26.06. კოლუმბია — შვეიცარია	2:0 (0:0)

რუმინეთი	3	2	0	1	5:5	6
შვეიცარია	3	1	1	1	5:4	4
აშშ	3	1	1	1	3:3	4
კოლუმბია	3	1	0	2	4:5	3

B ჯგუფი

19.06. კამერუნი — შვედეთი	2:2 (1:1)
20.06. ბრაზილია — რუსეთი	2:0 (1:0)
24.06. ბრაზილია — კამერუნი	3:0 (1:0)
24.06. შვედეთი — რუსეთი	3:1 (1:1)
28.06. რუსეთი — კამერუნი	6:1 (3:0)
28.06. ბრაზილია — შვედეთი	1:1 (0:1)

ბრაზილია	3	2	1	0	6:1	7
შვედეთი	3	1	2	0	6:4	5
რუსეთი	3	1	0	2	7:6	3
კამერუნი	3	0	1	2	3:11	1

C ჯგუფი

17.06. გერმანია — ბოლივია	1:0 (0:0)
17.06. ესპანეთი — სამხ. კორეა	2:2 (0:0)
21.06. გერმანია — ესპანეთი	1:1 (0:1)
23.06. ბოლივია — სამხ. კორეა	0:0
27.06. ესპანეთი — ბოლივია	3:1 (1:0)
27.06. გერმანია — სამხ. კორეა	3:2 (3:0)

გერმანია	3	2	1	0	5:3	7
ესპანეთი	3	1	2	0	6:4	5
სამხ. კორეა	3	0	2	1	4:5	2
ბოლივია	3	0	1	2	1:4	1

D ჯგუფი

21.06. არგენტინა — საბერძნეთი	4:0 (2:0)
21.06. ნიგერია — ბულგარეთი	3:0 (2:0)
25.06. არგენტინა — ნიგერია	2:1 (2:1)
26.06. ბულგარეთი — საბერძნეთი	4:0 (1:0)
30.06. ნიგერია — საბერძნეთი	2:0 (1:0)
30.06. ბულგარეთი — არგენტინა	2:0 (0:0)

ნიგერია	3	2	0	1	6:2	6
ბულგარეთი	3	2	0	1	6:3	6
არგენტინა	3	2	0	1	6:3	6
საბერძნეთი	3	0	0	3	0:10	0

E ჯგუფი

18.06. ირლანდია — იტალია	1:0 (1:0)
19.06. ნორვეგია — მექსიკა	1:0 (0:0)
23.06. იტალია — ნორვეგია	1:0 (0:0)
24.06. მექსიკა — ირლანდია	2:1 (1:0)
28.06. ირლანდია — ნორვეგია	0:0
28.06. იტალია — მექსიკა	1:1 (0:0)

მექსიკა	3	1	1	1	3:3	4
ირლანდია	3	1	1	1	2:2	4
იტალია	3	1	1	1	2:2	4
ნორვეგია	3	1	1	1	1:1	4

F ჯგუფი

19.06. ბელგია — მაროკო	1:0 (1:0)
20.06. ჰოლანდია — საუდეთი	2:1 (0:1)
25.06. ბელგია — ჰოლანდია	1:0 (0:0)
25.06. საუდეთი — მაროკო	2:1 (2:1)
29.06. ჰოლანდია — მაროკო	2:1 (1:0)
29.06. საუდეთი — ბელგია	1:0 (1:0)

ჰოლანდია	3	2	0	1	4:3	6
საუდეთი	3	2	0	1	4:3	6
ბელგია	3	2	0	1	2:1	6
მაროკო	3	0	0	3	2:5	0

მერვედფინალი

02.07. გერმანია — ბელგია	3:2 (3:1)
02.07. ესპანეთი — შვეიცარია	3:0 (1:0)
03.07. შვედეთი — საუდეთი	3:1 (1:0)
03.07. რუმინეთი — არგენტინა	3:2 (2:1)
04.07. ჰოლანდია — ირლანდია	2:0 (2:0)
04.07. ბრაზილია — აშშ	1:0 (0:0)
05.07. იტალია — ნიგერია	2:1დ.დ. (1:1) (1:0)
05.07. ბულგარეთი — მექსიკა	1:1დ.დ. (3ჯ.3:1, 1:1) (1:1)

მეოთხედფინალი

09.07. იტალია — ესპანეთი	2:1 (1:0)
09.07. ბრაზილია — ჰოლანდია	3:2 (0:0)
10.07. ბულგარეთი — გერმანია	2:1 (0:0)
10.07. შვედეთი — რუმინეთი	2:2დ.დ. (3ჯ. 5:4, 1:1) (0:0)

ნახევარფინალი

13.07. იტალია — ბულგარეთი	2:1 (2:1)
13.07. ბრაზილია — შვედეთი	1:0 (0:0)

მატჩი მესამე ადგილისთვის

16.03. შვედეთი — ბულგარეთი	4:0 (4:0)

ფინალი. 17.07.

ბრაზილია 0:0 (პენ.3:2) იტალია

ბრაზილია: ტაფარელი, ჟორჟინიო (კაფუ 22), ალდაირი, მარსილიო სანტუში, ბრანკო, მაურო სილვა, დუნგა, ზინიო (ვიოლა 106), მაზინიო, რომარიო, ბებეტო

მწვრთნელი: კარლოს ალბერტო პერეირა

იტალია: პალიუკა, ბენარივო, ბარეზი, მალდინი, მუსი (აპოლონი 55), ალბერტინი, დონადონი, დ. ბაჯო (ევანი 95), ბერტი, რ. ბაჯო, მასარო

მწვრთნელი: არიგო საკი

მსაჯი: შანდორ პული (უნგრეთი)

94 194 მაყურებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაზე...

აუჩქარებლად დაითვალეთ თექვსმეტამდე — სწორედ ამდენი წამი დასჭირდა ჩეხოსლოვაკიელ ვაცლავ მაშეკს 1962 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩილეში მექსიკის ნაკრების კარში გოლის გასატანად. ეს უსწრაფესი გოლია მუნდიალების ისტორიაში, თუმცა ის მატჩი მაინც მექსიკელებმა მოიგეს (3:1).

ყველაზე გვიანი გოლი ინგლისელ დევიდ პლატს ეკუთვნის. 1990 წელს იტალიაში, ინგლის-ბელგიის მერვედფინალში 90 წუთი უგოლოდ მიილია და დამატებითი დროც თითქოს ასე უნდა დასრულებულიყო. პლატმა კი 119-ე წუთზე მოიქნია ფეხი და ბოლონიის „რენატო დელ არაზე" მისულ ხალხს პენალტების სერია აღარ ანახა.

1982 წელს ესპანეთში უნგრელმა ლასლო კიშმა სალვადორელთა კარში სამი გოლი გაიტანა. თავისთავად ამაში განსაკუთრებული არაფერია — ჰეთ თრიქი უამრავ ფეხბურთელს შეუსრულებია, მაგრამ კიშმა ეს შვიდწუთიან მონაკვეთში შეძლო — 70-ე, 74-ე და 77-ე წუთებზე, რაც სარეკორდოდ მოკლე დროა. ამასთანავე კიში შეცვლაზე შესული ერთადერთი ფეხბურთელია, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატებზე ერთ თამაშში სამი გოლი შეაგდო.

პელეს უამრავ რეკორდს შორის ერთი ასეთიცაა: 1958 წელს შვედეთის ჩემპიონატის მეოთხედფინალში ბრაზილიამ უელსს პელეს ერთადერთი გოლით მოუგო, ფეხბურთის მომავალი მეფე მაშინ 17 წლისა და 239 დღის, ანუ უყრმესი მეგოლე იყო.

ყველაზე „მხცოვანი" მეგოლე კამერუნელი როჟე მილა გახლავთ. 1994 წლის 28 ივნისს რუსეთთან 1:6 წაგებულ მატჩში კამერუნელთა ერთადერთი გოლი სწორედ მილამ გაიტანა, მაშინ ის 42 წლის და 39 დღისა იყო.

პირველი ფეხბურთელი, ვინც შეცვლაზე შევიდა საბჭოელი ანატოლი პუზაჩი გახლდათ. 1970-ში მექსიკასთან ჩემპიონატის გახსნით მატჩში ის მეორე ტაიმში შეიყვანეს შერსტენიოვის ნაცვლად. იმ ჩემპიონატამდე მოთამაშის შეცვლა მიღებული არ იყო. პირველი შეცვლილი მეკარე კი რუმინელი ნეკულაუ რადუჩინუ აღმოჩნდა. ამავე მინდორზე, ბრაზილიასთან, ის სტივ ადამკემ შეცვალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორვატი რობერტ პროსანეჩკი ერთადერთი ფეხბურთელია, რომელსაც გოლები ორი სხვადასხვა ნაკრების სახელით გაუტანია. 1990 წელს იგი საამიროთა ნაკრებთან თამაშობდა როგორც იუგოსლავიელი, რვა წლის შემდეგ კი იამაიკის კარში ბურთი უკვე ხორვატად ქცეულმა შეაგდო.

ჰოლანდიელ ერნსტ ვილიმოვსკის საოცრად არ გაუმართლა. აბა, როგორი საქმეა, ოთხი გოლი გაიტანო და მაინც წააგო. 1938 წელს ვილიმოვსკიმ პოკერი ბრაზილიას შეუსრულა, ერთიც შეროკემ მიამატა, მაგრამ პოლონეთმა მაინც წააგო — 5:6.

ამერიკელი ბერტრამ არტურ პეიტნოდი ისტორიაში პირველი ჰეთ თრიქის შემსრულებლად შევიდა. პირველი მსოფლიოს ჩემპიონატის დროინდელ ამბავს მოგახსენებთ, როცა აშშ-ის გუნდმა პარაგვაის 3:0 მოუგო. თუმცა ეს საკითხი კამთის საგნადაც იქცა, რაკი, მეორე ვერსიით, იმ მატჩში მესამე გოლი ტომას ფლორმა გაიტანა.

რომელმა ფეხბურთელებმა შეძლეს მსოფლიოს ჩემპიონატის ყველა მატჩში გოლის გატანა? ასეთი სულ ორია — ბრაზილიელი ჟაირზინიო (ფოტოზე) და ურუგვაელი ოლსიდეს ედგარდო გიჯა. ურუგვაელმა 1950-ში, ბრაზილიის ჩემპიონატზე ოთხივე მატჩში გაიტანა გოლი, ჟაირზინიომ კი ოცი წლის მერე მექსიკაში შეაგდო ექვსივე თამაშში შეაგდო ბურთი.

ტუნისელი ხემოსუ ლაბიდი შვილიშვილებს მოუყვება, მსოფლიოს ჩემპიონატზე მითამაშიაო. თამაშით როგორ არ უთამაშია — 1978 წელს, არგენტინაში, თუმც მოედანზე სულ ერთხელ შეიყვანეს და ისიც ორი წუთით (მექსიკასთან). სამაგიეროდ რეკორდი დაამყარა — ასე ცოტა ხნით მუნდიალებზე არავინ დაულანდავთ.



ახლა იმათზე ვთქვათ, ვინც ერთ ფინალში გოლის გატანა არ იკმარა. ასეთი სამია: ბრაზილიელმა ვავამ 1958 და 1962 წლების ჩემპიონატების ფინალებში გაიტანა, მისმა თანაგუნდელმა პელემაც 1958-ში შეაგდო ბურთი, თუმცა მეორე საფინალო გოლამდე კარგა ხანს, 1970 წლამდე მოუხდა ცდა, მოახერხა. გერმანელმა პაულ ბრაიტნერმა კი 1974 და 82 წლების ფინალებში გამოიჩინა თავი.



გერდ მიულერი

მსოფლიოს ჩემპიონატების საყოველთაო ბომბარდირები 1930-1998

გერდ მიულერი (გერმანია)	14
ჟუსტ ფონტენი (საფრანგეთი)	13
პელე (ბრაზილია)	12
შანდორ კოშიჩი (უნგრეთი)	11
იურგენ კლინსმანი (გერმანია)	11
ჰელმუტ რანი (გერმანია)	10
გარი ლინეკერი (ინგლისი)	10
გრჟეგორჟ ლატო (პოლონეთი)	10
თეოფილო კუბილასი (პერუ)	10
გაბრიელ ბატისტუტა (არგენ.)	9
რობერტო ბაჯო (იტალია)	9
პაოლო როსი (იტალია)	9
უვე ზელერი (გერმანია)	9
ჟაირზინიო (ბრაზილია)	9
ეუსებიო (პორტუგალია)	9
კარლ-ჰაინც რუმენიგე (გერ.)	9
ვავა (ბრაზილია)	9
ადემირი (ბრაზილია)	9

შეცვლაზე შესულ ფეხბურთელთა შორის უსწრაფესი გოლი დანიელი ებე სანდს ეკუთვნის, როცა წინა მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში, ნიგერიასთან, გოლი გაიტანა, მოედანზე სულ რაღაც თექვსმეტი წამის შესული იყო. დანიამ ის მატჩი 4:1 მოიგო.

ე. ტორე ბრავუ!

ავთანდილ გურასაშვილი
ავტორის ფოტოები

ესპანეთის მეფემ ფერდინანდ VII-ემ 1830 წელს სევილიაში მთელს მსოფლიოში პირველი სამეფო ხარების საბრძოლო სკოლა დააარსა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ კორიდას მაშინ ჩაეყარა საფუძველი.

მისი წარმოშობა ხარის კულტთან არის დაკავშირებული. თუ სადმე უნდა დაბადებულიყო კორიდა, ეს ევროპაში უნდა მომხდარიყო. ხარი ოდითგანვე გადაჰკიდებია ევროპას. მეხთამტეხელმა ზევსმა ხარის სახე მიიღო, ევროპა მოიტაცა და საყვარლად დაისვა. მერე ევროპაშიც, რაღა თქმა უნდა, ხარი შვა — მინოსისა. ჰოდა, მგონი, იქიდან იწყება ღმერთკაცებისა და ადამიანთა ბრძოლა ხარების წინააღმდეგ. პირველი ტორეადორები იქნებ მძლეთამძლე ღმერთკაცები ჰერაკლე და თეზევსი იყვნენ. გახსოვთ, ჰერაკლემ როგორ დაამარცხა კრეტის ხარი ან თეზევსმა იქაურ ლაბირინთში მობინადრე მინოტავრი და მარათონის ხარიც? ან სულაც ჩვენი აიეტი გავიხსენოთ, ჰეფესტოსის გამოჭედილ ცეცხლისმფრქვეველ ხარებს რქებს რომ უგრეხს და ოთხი დღის სახნავ ხოდაბუნს უმალ ამოაბრუნებს.

მითი მითად, მაგრამ კორიდა, უწინარეს ყოვლისა, ესპანელთა მეშვეობით გავრცელდა და დაიხვეწა მეზობელი თუ ლათინური ამერიკის ქვეყნებში. მეფე ფერდინანდმა, თუ ფედერიკო გარსია ლორკას დავესესხებით, „სიკვდილი ეროვნულ სანახაობად გადააქცია“ და იგი „თანამედროვე სპორტის სახეობათა რეკვიზიტში შეიტანა“, თავისი სამეფო სკოლა დააარსა, კორიდის მონაწილეების წარმომავლობითი შეზღუდვა აუქმა და ქვეითად მოპაექრეთათვის ფორმულა დაამტკიცა.

სპეციალისტთა აზრით, პორტუგალიური, ფრანგული და ლათინური ამერიკის ქვეყნების კორიდა, რომელშიც ხარს არ კლავენ, გაცილებით ახლოსაა სპორტთან, ვიდრე ესპანური ვარიანტი. მართლაც, ხართან მებრძოლი კაცის მკვირცხლი მოძრაობა, მის მიერ იარაღის ჟონგლიორივით ხმარება და ცხენის დიდოსტატური დამორჩილება სპორტულ ჩვევებს მოითხოვს, რაშიც თვალნათლივ დავრწმუნდი, როცა პორტუგალიის დედაქალაქში გრანდ კორიდას დავესწარი.

ზუსტად არავინ იცის, ევროპის ამ ნაბოლარა ქვეყანაში პირველად როდის გამოჩნდა კორიდა, მაგრამ სარწმუნო წყაროებიდან ირკვევა, რომ იგი ტარდებოდა არანაკლებ 800 წლის წინათ, როცა იქ 1185 წლიდან დონ სანშო I მეფობდა. გვიანდელ წყაროებში უკვე დოკუმენტურად და დაწვრილებით არის აღწერილი, როგორ ტარდებოდა კორიდა, ვინ მონაწილეობდა, რა ეცვათ იქ მიბრძანებულ დიდგვაროვან ქალბატონებსა და ბატონებს... კორიდა მაშინ წმინდა ანტონის დღესასწაულის, სამეფო ქორწინებებისა და სხვა „ღირსახსოვარი“ მოვლენების აღსანიშნავად იმართებოდა. მას წინ უსწრებდა ცეკვა-თამაში, მუსიკა, სპექტაკლები... ამგვარი პრელუდიის ტრადიცია დღემდე შემოუნახავთ, რასაც მერე სისხლისმღვრელი ბრძოლები მოჰყვება. ბევრისთვის ეს ეროვნული სიამაყეა, ზოგისთვის საცირკო სანახაობა, ნაწილისთვის კი სპორტული აზარტი, სადაც სისხლი, მგონი, ყველას აგიჟებს და იწყება მასობრივი თავდავიწყება.

ამგვარ თავდავიწყებაზე ანუ „გრანდ კორიდაზე“ რამდენიმე დღით ადრე გვიხმო აფიშებმა და პროგრამებმა, ლისაბონისა თუ ახლომდებარე ქალაქების ყველა სასტუმროში რომ გამოაკრეს და დაარიგეს. კორიდის დღეს მთელ ქალაქში დააქროლებდნენ სანახაობის მთავარი მოქმედი პირებისა და ხარების გამოსახულებით აჭრელებულ მიკროავტობუსებს, რომლებიც სახურავზე დამონტაჟებული, ყოველმხრივ მიმართული ვეება გამაძლიერებლებით, მუსიკის თანხლე-



ეროვნული ბიბლიოთეკა



ბით ხალხს „კამპო პეკვენოსკენ“ ეპატიჟებოდნენ. საერთო ფეხის ხმას აყოლილნი, ჩვენც მივადექით „კამპო პეკვენოს“. თუმცა ერთი საათით ადრე მივედით, მთავარ შესასვლელთან უამრავი ხალხი დაგვხვდა. შესვლას არავინ ჩქარობდა. ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილნი მეტად სერიოზული გამომეტყველებით რაღაცაზე დინჯად ბჭობდნენ — ალბათ მომავალ და გარდასულ ბრძოლებზე. შესაძლოა ხართან ბრძოლაში დაღუპულებსა და მათს ოსტატობასაც იხსენებდნენ. ერთ ჯგუფთან თვალი მოვკარით ამაყად თავაწეულ ასაკოვან მამაკაცს, რომელსაც თოვლივით ქათქათა მაქმანიან პერანგს ოქრომკედით მოქარგული ხალათი უფარავდა. მისი ლაქის ფეხსაცმელი გაპრიალებული შავი „მერსედესივით“ ბზინავდა. ფეხსაცმლის სიშავეს თეთრი გეტრები უფრო საჩინოს ხდიდა, წითელი გოლფები კი მის ჩაცმულობას მეტად საზეიმო ელფერს აძლევდა. ამ კაცს ეს დარბაისელი ხალხი მოწიწებით თავს უკრავდა და კრძალვით ესალმებოდა. იგი უეჭველად ვეტერანი ტორეადორი იყო, რომელიც ერთ დროს, ეტყობა, ოსტატობით ყველას ხიბლავდა, ახლა კი თავისი ჩაცმულობით ჩვენც მზერა მოგვტაცა.

მალე „კამპო პეკვენო“ მაყურებლებით პირთამდე შეივსო. ჩვენს პირდაპირ სარბიელის თავზე, ხუთსართულიანი სახლის სიმაღლეზე ამოტვიფრული იყო აგურით ნაგები „კამპო პეკვენოს“ მშენებლობის დასრულების თარიღი — 1892 წლის 12 აგვისტო.

სარბიელს გაღმა, ქვის ტრიბუნებს ზემოთ, ისევე, როგორც საუკუნის წინათ, ახლაც შეძლებულთათვის განკუთვნილი კაბინები იყო, გამოღმა კი უფულოები ვისხედით ხის გრძელ, საერთო სკამზე. ნახევარზე მეტი უცხოელი ტურისტი გახლდათ (ღმერთმა უწყის, ფულიანი თუ უფულო), თუმცა სარბიელი ყველა მხრიდან კარგად ჩანდა.

ასე იყო თუ ისე, მოპირდაპირე მხარეს მაღალი საზოგადოების წარმომადგენელთ შევცქეროდით, როგორც საგამოფენო ექსპონატებს, მათ შორის პორტუგალიის პრეზიდენტს, რომელიც ამალითურთ მობრძანდა და პატივი დასდო კორიდას.

დაწყებამდე სარბიელზე თეთრად „ამოქარგეს“ ვეება ლათინური ასო „K“, რაც კორიდას ნიშნავდა, თუმცა მისი რიტუალურად გამოსახვაც თავისთავად სანახაობის შემადგენელი ნაწილი იყო. მერე სახელმწიფო ჰიმნი დაუკრეს, რასაც საგანგებოდ მოწყობილ სცენაზე სხვა მუსიკა მოჰყვა და ცეკვა-თამაშიც გაჩაღდა.

რაზე მღეროდნენ? ალბათ, მამაც ტორეადორზე, ხარზე, საერთოდ კაცისა და ხარის ორთაბრძოლაზე, რითაც, ვგონებ, მაყურებელს საბრძოლო ექსტაზისთვის ამზადებდნენ. ნახევარი საათის მერე კონცერტი დასრულდა და სარბიელზე სანახაობის მონაწილენი გამოვიდნენ. მათ თავისებური საზეიმო მისასალმებელი ცერემონიალი თუ რიტუალი ჩაატარეს. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო პიკადორის გამოსვლა. იგი ამხედრებულიყო თეთრფლოქვებიან და ოქროსფრად აღკაზმულ ულამაზეს, კუპრივით შავ რაშზე, რომელსაც თოვლივით ქათქათა ჯიღა ამშვენებდა. თავადაც ოქრომკედით მოქარგულ შავ სამოსში გამოწყობილიყო, ქათქათა პერანგი ეცვა და ასევე თეთრბუმბულიანი ქუდი ეხურა. ისე



შერწყმოდნენ ერთმანეთს, ერთ არსებად ქცეულიყვნენ. ეს ცხენ-კაცი სარბიელს წინ და უკან თუ გარდიგარდმო ცეკვა-ცეკვით კვეთდა და ყველას ესალმებოდა: ცხენი — ქედის მოხრით, კაცი — ქუდის მოხდით. და ასე გაგრძელდა სანამ ერთი კაციც არ დატოვეს უსალმოდ. ბოლოს ყველანი გავიდნენ არენიდან, მერე კი გაიღო კარი და სარბიელზე გამძვინვარებული ხარი შემოვარდა. შემოვარდა და მეორე მხრიდან პიკადორმაც შემოაჭენა ცხენი, ოღონდ მერანი გამოეცვალა და ახლა თეთრ ქურანზე ამხედრებულიყო.

ხარი და ცხენ-კაცი ერთმანეთის პირისპირ დადგნენ. კაცმა ხარს გამოსაწვევად ცხენი აუთამაშა და ააცეკვა. ხარმა რამდენიმე წამს უყურა, უყურა და მერე თავდახრილი, რქებმოღერებული და თვალებჩასისხლიანებული ერთბაშად ადგილს მოსწყდა, სისწრაფეს თანდათან უმატა და ცხენ-კაცისკენ გაცოფებული გავარდა, ერთ არსებად ქცეული ორი სულიერი კი ულამაზეს ქანდაკებასავით გაქვავდა. და მაშინ, როცა ხარს რქებზე უნდა წამოეცვა ბედაური, პიკადორმა ცხენი ბოლო წამს, სულ ბოლო წამს, გვერდზე გადაახტუნა. რქებმა ჰაერი გაკვეთა. და იხუვლეს ტრიბუნებმა.

ასე განმეორდა ერთხელ, ორჯერ... მერე პიკადორმა ბაფთებითა და გირლიანდებით აჭრელებული, ბოლოებმოღუნული და წვერწამახული ბანდერილია მოიმარჯვა. მებრძოლნი რამდენიმე წამით ერთმანეთის პირისპირ გაირინდნენ, ურთიერთს თვალებში ჩახედეს და, თითქოს ნიშანი მისცეს, ორივე მხარე ერთბაშად ადგილს მოსწყდა. პიკადორმა, რაკი ბანდერილია აღმართა, ცალი ხელი უნაგირსა და უზანგს გაუშვა და ისე გავარდა ხარისკენ. ბოლო წამს პიკადორმა ცხენი შემოაბრუნა, მისი ფერდები რქებს დაახვედრა, თავადაც მთელი ტანით შემობრუნდა უნაგირზე, რქებისკენ გადაიხარა და ბანდერილია ხარს მთელი ძალით ჩასცა კისერში, ბუღა რქებმა კი რაღაც სასწაულით ისევ ჰაერი გაკვეთეს.

ნაჭრილობევიდან სისხლმა შადრევანივით ამოხეთქა. ხარმა სიმწრისგან იღმუვლა, ტრიბუნებმა — აღტაცებისგან.

მებრძოლებმა ერთმანეთს ჩაუქროლეს და კვლავ პირისპირ დადგნენ. კაცმა ახალი ბანდერილია მოიმარჯვა... იგივე სურათი განმეორდა მრავალგზის... რაც მეტი იყო სისხლი, რაც მეტად გადმოწუხწუხებდა იგი ხარის ჭრილობიდან, ტრიბუნები სულ უფრო ექსტაზში შედიოდნენ და ველური ხმით გაჰკიოდნენ.

ცხენზე ამხედრებული პიკადორი ქვეითმა მატადორმა შეცვალა. ისედაც გამძვინვარებული ხარი მატადორმა ცხვირწინ წითელი მულეტის ფრიალით მთლად გადარია. მერე მატადორს ტორერო შეენაცვლა და ბანდერმილიების წყვილ-წყვილად ჩაცემით ახლა იმან გაამწარა ისედაც დუჟმომდგარი ცხოველი. ხარის გულგამგმირავი ბღავილი ცას სწვდებოდა, მაგრამ მას მაინც ტრიბუნების ველური ღრიალი ახშობდა. უკმაყოფილო სტვენა მხოლოდ ერთხელ ატყდა, როცა ბანდერილიომ ერთი ბანდერმილა ხარს კისერში მოხერხებულად ვერ ჩასცა.

მაგრამ ეს მხოლოდ ერთხელ მოხდა, ერთადერთხელ, სხვა დროს კი კავალერიუსიც, მატადორიც და ბანდერილიოც მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ.

ამათ რომ თავიანთი საქმე მოათავეს, ხარის პირისპირ ახლა ფარკადაშები გამოვიდნენ თავიანთი შერეკილი კაბუს მეთაურობით და უკვე საცირკო სანახაობის მაგვარი რამ დაიწყო.

ეს გადარეული კაბუ ხარს თავისკენ იწვევდა: „ე, ტორე ბრავუ!“ — მოდი, გამოქანდი, ვნახოთ, რა შეგიძლიაო. მერე მისკენ გავარდნილი და გავეშებული ცხოველისკენ თავადაც გარბოდა დასატაკებლად და ბოლო წამს რქებშუა მკერდით ახტებოდა. კაბუ უმალ ხარის კისერს ხელებს სალტესავით აჭდობდა, ოთხივე ფარკადაში კი გაგიჟებულ ცხოველს ეძგერებოდა და რქებს უგრეხდა. მეექვსე, ნაბოლარა ფარკადაში, ხარს კუდში ებღაუჭებოდა. ამ ორთაბრძოლაში ფარკადაშები ტრიბუნებისთვის შეუმჩნევლად რაღაც ნიშანზე ერთბაშად ხარს თავს ანებებდნენ, მარაოსავით იშლებოდნენ და აქეთ-იქით თავქუდმოგლეჯილნი გარბოდნენ. დაბნეულ ხართან ის ერთიღა რჩებოდა — კუდში ჩაფრენილი. ხარსაც გაქცეულთა დასადევნებლად სად ეცალა, იმ გიჟისკენ რქებით იწევდა და ზედ მისი უკანალის წამოცმას ცდილობდა, მაგრამ იქამდე რაღაც სანტიმეტრებიღა აკლდებოდა.

ამასობაში მათს გასაშველებლად პასები გამორბოდნენ და ხარს ცხვირწინ წითელ მულეტებს უფრიალებდნენ. ხარი ახლა მათკენ გარბოდა, მის კუდს ჩაფრენილი ფარკადაში ამით სარგებლობდა და თავს გაქცევით შველოდა. ბოლოს გამძვინვარებული ხარის დასაშოშმინებლად სარბიელზე მისი ექვსი-შვიდი „მშვიდობიანი“ ზანზალაკებიანი თანამოძმე „მენახირეებს“ შემოჰყავდათ და მათთან ერთად არენიდან გაჰყავდათ, მერე კი ყველაფერი თავიდან იწყებოდა. მოქმედი პირნი ივივენი იყვნენ, დაჭრილი და სისხლისგან დაცლილი ხარები კი იცვლებოდნენ. მთელი ეს წარმოდგენა საათის მექანიზმივით იყო აწყობილი. „მექანიზმი მხოლოდ ერთხელ მოიშალა, როცა ის გადარეული კაბუ ხარს რქებსშუა მოზომილად ვერ შეახტა. გაფრენილ კაბუს შუბლის ნაცვლად რქები დახვდა. მერე ხარმა ისე ღონივრად აიქნია თავი, რომ კაბუ ბურთივით ცაში აისროლა და მალაყი გააკეთებინა. ტრიბუნებს გმინვა აღმოხდა, ციდან ჩამოვარდნილ კაბუს კი ისევ ის რქები დახვდა... მერე იყო თავის კიდევ ერთი ღონივრად ამოკვრა, ისევ ცაში ატყორცნა, მიწაზე დახეთქება, ფარკადაშებისგან ხარის შებოჭვისა და გატყუების ცდა, ამ ცდაში კაბუს ფეხებითა თუ ჩლიქებით ჯგლეთა და ტკეპნა... ის უბედური კაბუ ისე გაიტანეს საკაცით, რომ სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა, მაგრამ „გრანდ კორიდა“ ამით არ შეწყვეტილა. კაბუს ადგილი სხვა ფარკადაშმა დაიკავა და ყველაფერი თავიდან დაიწყო ხარის გულგამგკირავი ბღავილითა და ტრიბუნების მასობრივი ფსიქოზით. რაც მეტი სისხლი გადმოჩქეფდა ხარის კისრიდან, პორტუგალიელებს მით მეტად უელავდათ თვალები, მით მეტი აღტკინებით ყვიროდნენ და ღრიალებდნენ, უცხოელები კი მათ შეწუხებულნი შესცქეროდნენ. ზოგმა მიატოვა კიდეც კორიდა. ბოლომდე ვერც ჩვენ გავუძელით ამ სანახაობას.

სასტუმროსკენ მიმავალმა შორიდან კიდევ ერთხელ გავხედე გაბდღვრიალებულ „კამპო პეკვენოს“. იქიდან ისევ ველური ყიჟინა და ხარის ბღავილი ისმოდა.

მორმონთა დინასტიის დამაარსებელ ბრიგემ იანგის ძეგლი და მათი ტაძარი

სოლტ ლეიკ სიტიში ყველა ხე ანათებდა

მეტალოდეტექტორებს შორის ჩატარებული ოლიმპიადა

გიგა გურასაშვილი
ავტორის ფოტოები

სოლტ ლეიკ სიტის საოლიმპიადო საბურველში გახვევამდე სამი თვით ადრე ამ თამაშების პრეზიდენტი მიტ რომნი გვაგუებდა აზრს, რომ, შესაძლოა, პირველი ორი დღე ოლიმპიადის დედაქალაქი ქაოსმა მოიცვასო. ახლა, როცა ოლიმპიური მორევი თავის კალაპოტში მოექცა, გარკვეული დასკვნების გამოტანაც შეიძლება.

თუმცა, ამ მხრივ სათქმელი ბევრიც არაფერია. ვგულისხმობთ თამაშების ორგანიზაციულ საკითხებსა და მის ხერხემალს — სატრანსპორტო მომსახურებას, რომელიც, ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე ქაოსური იყო. ნათქვამია, შეცდომებზე სწავლობენო და ახლა ყველაზე ურწმუნო თომაც კი აღიარებს ტრანსპორტირების სისტემის საათივით აწყობილ მუშაობას. საუცხოოდ იყო მოწყობილი პრესცენტრიც, რომლისთვისაც ადგილი ოლიმპიადის ორგანიზატორებს გონივრულად ჰქონდათ შერჩეული.

ერთი სიტყვით, ოლიმპიური თამაშების გამართვის ხარისხით თუ ვიმსჯელებთ, ყველაფერი რიგზე იყო. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა კი, თავისი წინამორბედის ხუან ანტონიო სამარანჩისგან განსხვავებით, რომელსაც არაერთი ოლიმპიადა შეუფასებია საუკეთესოდ, სოლტ ლეიკ სიტის ასპარეზობა სუპერ ოლიმპიურ თამაშებად შერაცხა. რა თქმა უნდა, ეს სიტყვები ოლიმპიადის დახურვის საზეიმო ცერემონიალზე გაისმა, მანამდე კი, ისევე, როგორც ნებისმიერ სპორტულ ღონისძიებაზე, აქაც იყო ვნებათაღელვა, მსაჯობის გამო უკმაყოფილება, თამაშების ბოიკოტირების მუქარაც. მაგრამ, თუ სპორტის ისტორიას გადავხედავთ, ასეთი რამ მუდამ ხდებოდა და, ალბათ, მომავალშიც გაგრძელდება.

და მაინც, ყველაზე თვალშისაცემი უსაფრთხოების არნახული ზომები გახლდათ, სოლტ ლეიკ სიტიში, ნებისმიერ შენობა-ნაგებობას თუ სარბიელს ათეულობით პოლიციელი, ჯარისკაცი და საიდუმლო აგენტი იცავდა, რომ არაფერი ვთქვათ სათხილამურო ტრასების თითოეულ ქედზე მდგომ შეიარაღებულ დაცვაზე. მთლიანობაში, ანუ 17 დღის განმავლობაში, სპორტსმენთა, ოფიციალურ პირთა, ჟურნალისტთა და სხვა სტუმართა უსაფრთხოებას 15 ათასი ასეთი აგენტი თუ სამართალდამცველი იცავდა. ასპარეზობათა სარბიელის თავზე გამუდმებით „ბლექ ჰოუქსის" სამხედრო შვეულმფრენები დაფრინავდნენ, ხოლო სოლტ ლეიკ სიტის ცაზე **F**-16 ტიპის გამანადგურებლები ტრიალებდნენ. რომელიმე შეჯიბრებაზე დასასწრებად ან პრესცენტრში შესასვლელად, სპეციალურად გაშლილ კარავში შემოწმება უნდა გაგვევლო, მაგრამ თავად იყო უჩვეულოდ დამღლელი და გამაღიზიანებელი პროცედურა. ეგ იყო, თავდაყირა არ გვკიდებდნენ, თორემ თითოეულ წვრილმანსაც კი ზედმიწევნით აკვირდებოდნენ. იყო ერთი ჩხრეკა ჩვენს ჩანთებში. ამ მხრივ ყველაზე შავ დღეში ფოტოჟურნალისტები გახლდით. მოხალისეები ანუ ეგრეთ წოდებული ვოლონტიორები ღიმილითა და თვალების ჟუჟუნით გვთხოვდნენ აპარატის თუ აპარატების თითოეულ ობიექტივში გაჭყეტის უფლება მიგვეცა. აუცილებელი პროცედურა იყო ფოტოაპარატის მომართვა ან ერთხელ მაინც ჩაჩხაკუნება. ერთი სიტყვით, კარვებში დეტექტორების წუილი და შრაშუნი გამუდმებით ისმოდა.

არ გეგონოთ, რომ ასეთ დღეში მხოლოდ უბრალო მოკვდავთ გვაგდებდნენ. ერთხელ ჰოკეიში აშშ- ისა და რუსეთის ჯგუფურ შეხვედრამდე, ვიდრე „ი სენიერში" შესასვლელად შემოწმებას გავდიოდით, ხუან ანტონიო სამარანჩიც მობრძანდა. ერთადერთი, რაშიც ოლიმპიურ მოძრაობაში დაბერებულ მარკიზს პატივი დასდეს, ის გახლდათ, რომ სოკ-ის მეშვიდე პრეზიდენტი ურიგოდ გაატარეს. მერე, როდესაც მეტალოდეტექტორი გაიარა და მანქანამ „განგაში" აატეხა, მოხალისეებმა ერთმანეთს დაბნეულებმა გადახედეს. მერე ფსუკუნი აუტყდათ და ერთმანეთის ზურგს უკან იმალებოდნენ. უხერხულობისგან ისინი ერთმა შავკანიანმა ჯარისკაცმა იხსნა, როდესაც პაპსტოლა სამარანჩს ლიმის ქეჩოში სწვდა და გვერდზე გაიყვანა. იქ იმ შავკანიანმა მოხუცს ისეთი შავი დღე აყარა, კაცი იფიქრებდა, ვიღაც ტერორისტს ჩხრეკსო. ჯარისკაცი ხელებაწეული და ფეხებგაფარჩხული მარკიზის სხეულზე კარგა ხანს ზევით-ქვევით დიდი მონდომებითა და ხელების ფათურით დაატარებდა შესამოწმებელ აპარატს. მეც და მძიმედ შაიარღებული ჩემი კოლეგებიც თავს ძლივს ვიკავებდით, რომ ეს სცენა ფირზე არ აღგვებეჭდა, რადგან ამას უთუოდ აპარატის ჩამორთმევა, ფირის გაშუქება ან სხვა რამ ხათაბალა მოჰყვებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანგი ჟან-პიერ ვიდალი სლალომში დიდოსტატურმა სრიალმა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე და მეცხრე ცაში ატყორცნა

ქართველებს ასეთ ფრენამდე ბევრი გვიკლია

საქმე ის იყო, რომ როგორც ერთ-ერთმა ჯარისკაცმა მითხრა, ზემოხსენებული კარვები თურმე... საიდუმლო ობიექტთა სიას განეკუთვნებოდა და ამიტომ მათი ფირზე აღბეჭდვა იკრძალებოდა. ასე რომ, საკონტროლო გამშვებ პუნქტებთან დგომა და ჩხრეკა ყოველდღიურ ნორმად ქცეულიყო. ყოველივე ამას საოცარი გაგებითა თუ მოთმინებით ეკიდებოდნენ ოლიმპიადის სტუმრები.

„უსაფრთხოების ნორმები იყო მკაცრი, მაგრამ მეგობრული“ — ოლიმპიური თამაშების გასრულების შემდეგ განაცხადა აშშ-ის ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელმა სანდრა ბოლდუინმა.

კონგრესმენ-დემოკრატმა ჯეიმს მეტესონმა, იუტას შტატის წარმომადგენელმა, ეს ყოველივე პატრიოტულ ცერემონიალად შეაფასა: „ჩვენ მეტალოდეტექტორებს შორის გასასვლელად რიგში ვდგებოდით. ამისთვის რამდენიმე საათით ადრე მივდიოდით. რიგში მდგომნი სიცივეს, ყინვასა და ქარსაც ვუძლებდით. სხვაგვარად არც შეიძლებოდა მოვქცეულიყავით, რადგან არ გვინდოდა, რომ ტერორისტებისთვის გამარჯვების საბაბი მიგვეცა...“

ამიტომაც იყო, რომ 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოების ისედაც ძლიერ მარწუხებს კიდევ უფრო მოუჭირეს. ოლიმპიადის მსვლელობისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა საჰაერო სივრცის, ეგრეთ წოდებული „ოლიმპიური წრის“ მეთვალყურეობას, რომელიც დიამეტრში 90 მილს შეადგენდა. იმ წრეში შეჭრა სამმა თვითმფრინავმა სცადა. მათგან ერთი დაუპატიჟებელი ამერიკის სამხედრო საჰაერო ძალების მფრინავებმა აიძულეს უკან გაბრუნებულიყო, ორი სოლტ ლეიკ სიტის აეროპორტში დასვეს, მათი პილოტები კი დასაჯეს.

მიუხედავად გადაჭარბებული მეთვალყურეობისა და ყოველი ფეხის ნაბიჯზე კონტროლისა, მე და ტელეჟურნალისტი თამარ ბალავაძე ერთ-ერთ სარბიელზე უნებლიედ ისე აღმოვჩნდით, აკრედიტაციისთვის ზედაც არ შემოუხედავთ. ეს კიდევ არაფერი. იუტას უნივერსიტეტის სტუდენტებმა მთლად ანეკდოტური ამბავი დაატრიალეს. მათ კბილებამდე შეიარაღებულ ამერიკელ ჯარისკაცებს ცხვირწინ საბარგო ავტომობილი ისე ჩაუტარეს თვითნაკეთ, 4 მეტრი სიგრძის და 250-კილოგრამიანი რაკეტა, რომ ვერავინ შეამჩნია. 45 კილომეტრის რადიუსით მოქმედი რაკეტა მათ სნოუბეისინში სამთო-სათხილამურო „სტადიონზე“, სასტარტო დანადგარამდე აიტანეს და მხოლოდ იქ გაებნენ მახეში.

ამერიკელებისთვის ყველაზე სერიოზულ გამოცდად ოლიმპიური თამაშების დასკვნითი დღე იქცა, როდესაც სამართალდამცველებს სტუმართა მშფოთვარე მასა უნდა დაეშოშმინებინათ. ეს უკანასკნელნი „ბად უორლდის“ ლუდის ეზოში თუ პავილიონში შეღწევას ლამბოდნენ, მაგრამ არ იცოდნენ, რომ ეზო ყველას ვერ დაიტევდა. აქედან დაიწყო არეულობაც. საქმეში ჩართული პოლიცია მოულოდნელად აგრესიულ წინააღმდეგობას წააწყდა. როდესაც ვერაფერი გააწყვეს, სამართალდამცველებმა საგანგებოდ შეიარაღებულ დანაყოფს უხმეს, ჰაერში კი შეეულმფრენები გამოჩნდნენ, რომლებიც არეულობის ადგილს პროჟექტორებით ანათებდნენ. ამაზე გაგულისებულმა ეგზალტირებულმა მასამ პოლიციას ლუდის ქილები და ბოთლები დაუყარა. პოლიციამაც, სროლა ასე არ უნდათ, და ხულიგნებს რეზინის ტყვიები დაუშინა. ორმხრივ შეტაკებაში გამარჯვება პოლიციელებს დარჩა. დაშავებით სერიოზულად არავინ დაშავებულა, თუ არ ჩავთვლით ერთ-ორ დალილავებულ მარისთავსა და ჩამსხვრეულ მინას.

უნდა აღინიშნოს, რომ სოლტ ლეიკ სიტისთვის, სადაც მორმონთა ტრადიციებია უმთავრესი, ამგვარი გამოხდომები მეტად უჩვეულო და ეგზოტიკურიც კია.

შორტტრეკის სარბიელზე „ოქროსკენ“ ქროლვა

საქართველოს ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელი ირაკლი ჯაფარიძე, ქართველთაგან საუკეთესო „თეთრი ოლიმპიელი“, ფიგურულად მოციგურავე ვახტანგ ბურკანიძე და მისი მოსკოველი მწვრთნელი ელენე ჩაიკოვსკაია

CANADA

11